№ 224
კვირა, 11 დეკემბერი

გაზეთის ფასი დამატებით: წლიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანეთი.
რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.
დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, გრძელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія“.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

1877—1905

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 224
კვირა, 11 დეკემბერი

განცხადების ფასი: [illegible] სტრიქონი [illegible] გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ.. წლიური განცხადება—მორიგებით.
განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.
ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922.

დღეს, 11 დეკემბერს,
დილის 11 საათზე, ნაძალადევში
დანიშნულია
სახალხო მიტინგი
განსახილველი საგანია:
სრულიად რუსეთის საერთო გაფიცვა.
ტფილისის ს.-დ. მუშათა ორგანიზაცია.

ტფილისის სახაზინო თეატრი
საოპერო არტისტთა ამხანაგობის მიერ
დღეს, 11 დეკემბერს, დილით წარმოდგენილი იქმნება
სნეგუროჩკა
ოპერა 4 მოქმ., მუს. რიმსკი-კორსაკოვისა.
მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი გაშინსკაია, ნოვოსელსკაია, კარრი, დემიდოვა, კარპოვა; ბ-ნნი ...ონსკოი, ევლახიშვილი, ტომაშევიჩი, ჩისტიაკოვი, კოლსკი, დემიანენკო, ფლიპოვი, შეინი.
ბალეტის გამგე ბ. ბეკეფი.
...პელმეისტერი ლ. ზ. შტეინბერგი.
რეჟისორი ნ. ნ. ბოგოლიუბოვი.
დასაწყისი შუადღის 12 საათზე.
ადგილების ფასი დაკლებულია.
საღამოს წარმოდგენილი იქმნება
ტრავიატა
ოპერა 4 მოქ., მუსიკა ვერდისა.
...მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი დონსკაია-კახენ...დი, კარზოვა, ზასლავსკაია; ბ-ნნი კოლოტოვი, ...ამშვილი, გოლსკი, დემიანენკო, შეინი.
...ნონსი: ორშაბათს, 12 დეკემბერს, მესამედ ...წარმოდგენილი იქმნება: „ჩერევიჩკი“. სამშაბათს, ...დეკემბერს, წარმოდგენილი იქმნება სიდნეი...ს 3 მოქმედებიანი ოპერეტკა „გეიშა“.
ბილეთები იყიდება.
...აფერათვის ბილეთები იყიდება ყველა წარ...ენისა 50 კაპ., მაგრამ მოწაფეები უთუოდ ...ს ტანისამოსში უნდა იყვნენ.

...ფილისის ქალაქის გამგეობა
...ცხადებს, რომ ის ღებულობს შემოწირულებ... ტფილისში უკანასკნელ არეულობების დროს ...ალებულთა სასარგებლოდ. შემოწირულებ... —ფულით თუ ნივთებით მიიღება დილის 10 ...თიდან ნაშუადღევის 2 საათამდე.

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს, ...ომ, თუ ვისმე აქვს დაწერილი თხზულება თავ. ...რიგოლ დადიანის პრემიის მისაღებად, უნდა ...ადგინოს იგი 1906 წ. 1 იანვრისათვის. ...თ. გრიგოლ დადიანის პრემია—400 მ.—მიეცემა მას, ვინც შეადგენს და წარმოადგენს საკონკურსოდ საუკეთესო თხზულებას ქართულ... 1) საქართველოს წარსულ ცხოვრების ...ებ; 2) ქართულის ენის შესახებ და 3) ...ქართულის ძველის ან ახალის მწერლობის შესახებ. (3—3)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
...იხეილ გედევანიშვილისა
...იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 საათ., საღამო 6—7 საათ. ყორღანოვის ქუჩაზე (ვერაზე), ...უთარი სახლი № 20, ტელეფონი № 791.
...ავადმყოფთათვის არის ერთი კრავატი.

...ველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
...ღებულობენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.
დილაობით:
მ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. ხირურგიულ-...ენერიული და კანის ავადმყოფობისა.
ქ. მ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის, ...ზიანისა და ნერვების ავადმყოფობისა.
მ. ამეტიხიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენ...ერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.
...ი. ბაბანასოვი—დილის 10—11 საათ.—ქალისადა ...ვთა ავადმყოფობანი,
ი. ბძილიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა ...ცხვირის სატკივარისა.
...ჩაპეტიანცი. $1—1\frac{1}{2}$ საათ. შინაგან და ...ავადმყოფობისა.
საღამოობით:
...ავასარდიანი. $7—7\frac{1}{2}$ საათ.
...იანცი—შინაგან ავადმყ. $7—7\frac{1}{2}$ საათ.
...არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ...ოპიულ გამოკვლევას.
...რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი ...ური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ...პერაციებისათვის — მორიგებით.
...რექტორი სამკურნალოსი, დოქტორი მ. ა. ნავასარდიანი.
Первая частная лѣчебница д-ра Навасардіанъ
Тифлисъ, противъ памяти Воронцову.

ტფილისის ექიმები
კბილის ექიმი
ივანე კ. ახალშენიშვილი
ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) ხუთხეში ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმეებით 10—1-მდის.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე, იღებს სიფილისურ ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

გ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11, მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათის

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი 13.

ბესარიონ პაპავა—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 სათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლის № 157

ვაჩნაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18.—იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

ბაბაშვილი გრიგოლ. კოჩუბეის ქუჩა № 91.

ექვთიმე ვაშაკიძე ბავშვების და შინაგან ავადმყოფთ ექიმი—ელიზავეტის და კიროჩნი ქუჩების კუთხე. სახლი ზარამოვისა № 112. ავადმყოფებს იღებს ნაშუადღევის 1—2 ს. და საღამოს 5—7 საათ.

კიდევ ეროვნული ავტონომია და სოციალდემოკრატია

გუშინ-წინ ჩვენ გავაცანით მკითხველს ორ რუსულ სოციალდემოკრატიულ ორგანოს აზრი ეროვნულ ავტონომიის შესახებ; აღვნიშნეთ, რომ რუსი სოციალდემოკრატები დღეს აღიარებენ რუსეთში მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნებათათვის პოლიტიკურ ავტონომიის აუცილებლობას, რომ ისინი ეროვნებათა ავტონომიებს ეროვნულ საკითხისა და რუსეთში დემოკრატიულ წესწყობილების დაცვა-განმტკიცებისათვის ერთ-ერთ მთავარ საშუალებად სთვლიან, და რუს სოციალდემოკრატების ასეთ აზრს დავუპირდაპირეთ შეხედულება ამავე საგანზე ჩვენებურ სოციალდემოკრატებისა, რომელნიც დღემდის მუდამ იმის ცდაში იყვნენ, რომ რაიმე საბუთები გამოენახათ ეროვნულ ავტონომიის უარსაყოფელად. როცა ჩვენ ამას ვწერდით, ვიცოდით, რომ ახალი სოციალდემოკრატიული ორგანო—„სხივი“—არ წაიყრუებდა და აღძრულ საკითხზე თავის ძველ ან ახალ აზრს გამოსთქვამდა.

დიდ ხანს ლოდინი არ მოგვიხდა,—„სხივმა“ „გამოსთქვა აზრი“, მაგრამ, სამწუხაროდ, ისე ზერელედ, რომ—არ დავმალავთ—ჩვენც კი გაგვაკვირვა, მიუხედავად იმისა, რომ „სხივის“ მწერლებისაგან უცნაურ აზრების გაგონებას არ ვართ მაინცა-და-მაინც უჩვევი. ჩვენ ამოვწერეთ ორ რუსულ სოციალდემოკრატიულ ორგანოდან სტრიქონები, რომლებშიაც ცხადად არის ეროვნულ ავტონომიების საჭიროება გამოთქმული, და ჩვენებურ სოციალდემოკრატებს ვურჩიეთ, ახლა მაინც შეიგნონ, რომ ეროვნულ ავტონომიის მოთხოვნა არაფრით არ ეწინააღმდეგება ს.-დემოკრატიულ მოძღვრებას. ნაცვლად იმისა, რომ „სხივს“ გაზ. „ნაჩალოსა“ და „ბორბას“ „ავტონომისტობაზე“ პირდაპირ რამე ეთქვა და ჩვენი შენიშვნისთვის პირდაპირ პასუხი გაეცა, იგი იმეორებს ძველ ლათაიებს და არც კი ფიქრობს, ახლა მაინც დაინახოს ის მარცხი, რომელიც ავტონომიის საკითხის გარკვევაში მოუვიდათ მის სულის ჩამდგმელებს. მოგეხსენებათ, ერთხელ ნათქვამის განმეორება უფრო ადვილია, ვიდრე საკითხში ღრმად ჩაკვირვება და მისი ხელახლა აწონ-დაწონვა და გარკვევა-განმარტება. „სხივიც“ თავს არ იტკიებს საგანში ასე ჩაკვირვებისა და თავის წინანდელ შეხედულების რევიზიისათვის. იგი დღესაც იმასვე სწერს ეროვნულ ავტონომიის შესახებ, რაც ათასჯერ წაგვიკითხავს „სოციალდემოკრატსა“ და ბ-ნ მახარაძის სიბრძნის კიდობან „მოგზაურ“-ში.

„პირველი ჩვენი მოწინააღმდეგე იყო და არის,—სწერს „სხივი“,—შელახებული თავად-აზნაურობა და მისი პირმშო შელახული ინტელიგენცია. ეს ორი ძალა ჩვენში თავიდანვე ერთად ვიდოდენ; რასაც ერთი იტყოდა, მეორე მხარს უჭერდა და ავრცელებდა. ამ ათი წლის წინეთ ისინი ერთად დასტიროდენ „მამა-პაპათა დიდებულ წარსულს“ და აწმყოს წარსულად გადაქცევას ლამობდენ. ეს რომანტიული ხანა ახლა უფრო რეალურად შეიცვალა, დადგა სხვა დრო, დაბერა ახალმა სიომ და მათაც პირი იბრუნეს. ახლა წარსულს აღარ ჩასჩიჩინებენ, მარა, სამაგიეროდ, კითხვას სხვა გზით მოუარეს,—თხოულობენ თითქმის იმასვე, რასაც წინეთ, მარა ეს ახლა ახალ ქერქში გამოხვიეს. მათი ახალი დროშა ავტონომია გახდა. ამერ-იმერის თავად-აზნაურობა და ინტელიგენცია აქაც შეერთდნენ და საერთო ნიადაგზე საერთო ბაირაღი ამართეს“.

გეცნობათ, მკითხველო, განა? ეროვნულ ავტონომიის მოთხოვნა თავად-აზნაურობის ინტერესების ქომაგობას ნიშნავს. ქვევით გაზეთი ამბობს, რომ ეროვნულ ავტონომიის საქმეში თავად-აზნაურობასთან შეერთებულია ქართველი ბურჟუაზიაც, რადგან მისი ინტერესებისთვისაც საქართველოს ავტონომია სასარგებლოაო. და ასე, „სხივი“ პროლეტარიატის მტერ ბურჟუად და სოფლის „იუნკრად“ აცხადებს ყველას, ვინც ეროვნულ ავტონომიას მოითხოვს.

მაგრამ სოციალდემოკრატიული გაზეთები—„Борьба“ და „Начало“?—იკითხავს გაკვირვებული მკითხველი. ეს გაზეთები ხომ „წმინდა“ სოციალდემოკრატიული ორგანოებია,—ისინიც ჩაეწერნენ ბურჟუაზიისა და თავად-აზნაურთა რაზმში?

ამაზე „სხივი“, რასაკვირველია, კრინტს არ სძრავს, რადგან ეროვნებათა ავტონომიების მოთხოვნა სოციალდემოკრატიულ ორგანოს, აბა, როგორ გახდის ბურჟუაზიულად,—ხსენებულ მოთხოვნას მხოლოდ ჩვენში აქვს ასეთი თილისმური ძალა, მხოლოდ ჩვენში ხდის ყველას ეროვნულ ავტონომიის მომხრეობა ბურჟუად და აზნაურად.

მაგრამ—უკაცრავად: „სხივს“ აქვს ერთი „საბუთი“, რომელიც „ამტკიცებს“, რომ ეროვნულ ავტონომიის მოთხოვნა თავად-აზნაურობის წოდებრივ სულისკვეთების გამომხატველია. ეს „საბუთი“ იმაში მდგომარეობს, რომ... საქართველოს ავტონომია თავად-აზნაურობამაც მოითხოვა. მაშასადამე,—„სხივის“ ლოღიკით,—ცხადია, რომ ეროვნული ავტონომია თავად-აზნაურობის ინტერესების განხორციელებაა. ასეა ეს იმათ შესახებ, ვინც ავტონომიას ემხრობიან. რაიმე პოლიტიკური მოთხოვნა, რომელიმე განსაზღვრულ პოლიტიკურ წყობილების მომხრეობა თურმე უეჭველად ერთის კლასისა ან წოდების ინტერესთა მომხრეობას ნიშნავს.

მაგალითს მოგახსენებთ. სოც.-დემ. პარტია თხოულობს ცენტრალისტურ დემოკრატიულ რესპუბლიკას. რუსეთში არიან მრავლად სხვა პარტიების წარმომადგენლებიც, რომელნიც ამ მოთხოვნაში სოციალდემოკრატებს ემხრობიან, ე. ი. ისინიც რესპუბლიკას ეტრფიალებიან. არიან მსხვილ ბურჟუაზიის წრეშიაც რესპუბლიკის მომხრენი. საფრანგეთში უკვე არსებობს დემოკრატიული რესპუბლიკა; იქვე არსებობს ბურჟუაზიული „რესპუბლიკელთა პარტიები“, რომელნიც თავის პოლიტიკურ დევიზად რესპუბლიკის დაცვას და შენარჩუნებას სთვლიან. „სხივის“ ლოღიკას რომ გავყვეთ, გამოვა, რომ არსებითად დემოკრატიული რესპუბლიკა ისეთი პოლიტიკური წყობილებაა, რომელიც ბურჟუაზიის კლასობრივ ინტერესებს შეეთანხმება და, მაშასადამე, პროლეტარიატის მოძმე პარტიებს—და მათ შორის სოციალდემოკრატიულსაც—არ შეუძლიათ თავის ბაირაღზე დემოკრატიულ რესპუბლიკის დაწერა.

მაგრამ „სხივი“ ამ ლოღიკურ დასკვნას, რასაკვირველია, არ მიიღებს. სოციალდემოკრატიის „რესპუბლიკის“ სიკარგეს არა აკლდება-რა იმით, რომ რესპუბლიკელნი ბურჟუებშიაც მოიპოვებიან.

მეორე მაგალითი. სოციალდემოკრატიული პარტია თხოულობს კავკასიისთვის საერთო „საოლქო თვითმართველობას“. ასეთივე მოთხოვნა შეიმუშავა ამას წინად სომხის ბურჟუაზიამაც. მაშასადამე,—„სხივის“ ლოღიკით,—„საოლქო თვითმართველობაც“ არსებითად ბურჟუაზიის ინტერესების გამოხატულება ყოფილა, რომელსაც ამის გამო მხარს ველარ უნდა უჭერდეს სოციალდემოკრატია. მაგრამ აქაც საოლქო თვითმართველობის სიკარგეს, სოციალდემოკრატიულ პარტიისავე აზრით, არა აკლდება-რა იმის გამო, რომ მას ბურჟუაზიაც ემხრობა. „ჩვენ და სომხის ბურჟუაზია თითქმის ერთ და იმავეს ვთხოულობთ,—კავკასიის საოლქო თვითმართველობას,—სწერდა „სოციალდემოკრატი“ (№ 4) —მით უკეთესი, ჩვენ მარტო არ ვყოფილვართ. რა არის ამაში საძრახი,—გაუგებარიაო“.

დიახ, აქ „საძრახი“ არაფერია, რადგან აქ ლაპარაკია ისეთ მოთხოვნაზე, რომელიც სოციალდემოკრატიულ პარტიას უწერია პროგრამაში. სულ სხვაა ეროვნული ავტონომია. ამ ავტონომიის მომხრეობა აზნაურთა წოდების მოტრფიალედ ხდის ყველას, რადგან ეროვნულ ავტონომიას თავად-აზნაურებიც თხოულობენ. არა ნაირი საზომი და საწყაო აქვთ ჩვენებურ სოციალდემოკრატიის იდეოლოგებს ერთგვარ საგნისათვის,—ერთს ხმარობენ მაშინ, როცა საკითხი მათ შეეხება, ხოლო მეორეს კი,—როცა სხვებზეა მსჯავრი დასადები. პირველი საწყაო მუდამ მათს პროლეტარიატის ჭეშმარიტ მომხრეობას ამტკიცებს, მეორე კი—მუდამ სხვების ბურჟუობას და აზნაურობას.

ასე მსჯელობდნენ ჩვენი ცნობილი „იდეოლოგები“ წინად, ასევე მსჯელობენ, სამწუხაროდ, დღესაც.

კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციების კონფერენციაზე (აპრილში) დელეგატებმა დაადგინეს, რომ „კონფერენცია გადაჭრით უარჰყოფს ეროვნულ-ტერიტორიალურ ავტონომიას, როგორც წმინდა ბურჟუაზიულ მოთხოვნილებას“.

მაგრამ მას შემდეგ მოხდა უცნაური ამბავი,—რამდენიმე რუსული სოციალდემოკრატიული ორგანო ამგვარ „წმინდა ბურჟუაზიულ მოთხოვნილების“ მომხრე გახდა, ეროვნებათათვის პოლიტიკური ავტონომიები მოითხოვა და—ჩვენებურ „იდეოლოგებს“ თეორიული ნიადაგი შეერყათ...

მიუხედავად ნიადაგის შერყევისა, ისინი დღესაც ძველ ფრაზებს იმეორებენ, ამით პარტიის იდეურ ალთა-ბალთას სიარულს აძლიერებენ და ყველას თვალ-წინ პარტიულ შეხედულების საკვირველ არევის სურათს გვიყენებენ.

აზრების ასეთ არეულობას ჩვენ ამდენ ყურადღებას არ მივაქცევდით, იგი თვით პარტიის მოძღვრებით რომ იყოს აუცილებლად გამოწვეული. არ მივაქცევდით იმიტომ, რომ მაშინ ჩვენ არავითარი იმედი არ გვექნებოდა სოციალდემოკრატებში ჩვენი შეხედულების გავრცელებისა, რადგან ამ შეხედულებასთან პრინციპიალურად შეუთანხმებელი იქნებოდა მათი პარტიის მოძღვრება. მაგრამ ნამდვილად ეს არ არის და, ჩვენის აზრით, დემოკრატიულ ეროვნულ ავტონომიის უარყოფა ჩვენებურ სოციალდემოკრატიის მხრივ შედეგია იმ გარემოებისა, რომ პარტიის ადგილობრივი იდეოლოგები ნაკლებ იცნობენ თავისსავე პარტიულ ლიტერატურას და ამიტომ აზრთა წინააღმდეგობაში იხლართებიან, როცა არ ჰყოფნით საკუთარი დაკვირვება და ორიგინალობა.

სოციალდემოკრატთა აღნიშნულ კონფერენციაზე, რომელზედაც უარჰყვეს ეროვნული ავტონომია, ვითარცა „წმინდა ბურჟუაზიული მოთხოვნილება“, დამსწრეებმა ასე დაასაბუთეს თავისი გადაწყვეტილება: ეროვნულ ავტონომიას ჩვენ უარვყოფთო, „რადგანაც კავკასიაში, სადაც მრავალი ერები ერთმანერთში შერეულია და ერთად მოსახლობენ, ეროვნულ-ტერიტორიალურ ავტონომიის შემოღება, როგორც ამას ქართველი ნაციონალისტები თხოულობენ, იქმნება ავტონომიურ ტერიტორიაზე ერთი ერის მიერ სხვა ერების დამონება, რაიც ნიშნავს ამ ერის ბურჟუაზიულ კლასების გაბატონებას სხვადასხვა საშუალებებით, როგორც მათი ენის გაბატონებით, ისე სხვადასხვა უპირატესობათა ბოძებით და შემზღუდველ კანონებით მიწა-ადგილების მათთვის დათმობით, ერთი სიტყვით ეროვნულ ბურჟუაზიის გაძლიერებას მცხოვრებთა სხვა კლასების ანგარიშზე;

„რადგანაც ეროვნულ ავტონომიის პრინციპები თავისთავად გულისხმობს ერთი ენის გაბატონებას, რაც ჩვენში აუცილებლად გამოიწვევს სხვა ერთა ენის ხმარების შეზღუდვას;

„და რადგანაც, მესამედ, ეროვნულ-ტერიტორიალური ავტონომია ხელოვნურ ზღუდეების შექმნით აბრკოლებს სხვადასხვა ერთა პროლეტარიატის შეკავშირებას, ამწვავებს ეროვნულ განხეთქილებას, რითაც სარგებლობს ბურჟუაზია ბრძოლის კლასიურ ნიადაგიდან ეროვნულ ნიადაგზე გადასატანად და პროლეტარიატის კლასობრივ თვითცნობიერების დასაბნელებლადო“.

ეროვნულ ავტონომიის სამაგიეროდ კონფერენციამ მაშინ შეიმუშავა რეზოლუცია საერთო კავკასიის „საოლქო თვითმართველობის“ შესახებ. ეს რეზოლუცია შემდეგ სტრიქონებში გამოიხატება:

„ვიღებთ-რა მხედველობაში კავკასიის ცხოვრების განსხვავებულ პირობებს და გამოვდივართ რა იმ შეხედულებისაგან, რომ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების შინაარსს შეადგენს კლასთა და არა ერთა ბრძოლა,—კონფერენცია თანახმად რუსეთის სოც.-დ. მუშათა პარტიის პროგრამისა, საჭიროდ სცნობს — შემოღებულ იქმნას მთელი კავკასიისათვის ერთი საერთაშორისო სათემო თვითმართველობა თავისი ცენტრალური ორგანოთი, რომელიც არჩეულ უნდა იქმნას საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭის ყრით, მიუხედავად ეროვნებისა, სარწმუნოებისა და სქესისა, და რომლის წევრთ ნება ექნებათ იხმარონ თავისი ენა; თვითმართველობის დანიშნულებაა რუსეთის კანონმდებლობის საზღვრებში განაგოს კავკასიის სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრება. ამ რეზოლუციით კატეგორიულად უარყოფილია ფედერაცია.“

ამ კონფერენციის შემდეგ ჩვენი სოციალ-დემოკრატები ლეგალურსა და არა ლეგალურ ორგანოებში მუდამ ამ რეზოლუციების თანახმად „არღვევდნენ“ ეროვნულ ავტონომიას და ყოველთვის ლანძღვა-გინების გუდას არეკდნენ თავზე მის მომხრეებს. ადგილი ნებას არ გვაძლევს, თორემ ამის დამამტკიცებელ მაგალითებს მკითხველს მრავლად წარმოუდგენდით.

როგორც ხედავთ, ჩვენებური სოციალდემოკრატიული პარტია უარჰყოფს ეროვნულ-ტერიტორიულ ავტონომიას,—ე. ი. ისეთ ავტონომიას, რომლის ფარგლებშიაც შედის ერთ მთლიან ტერიტორიაზე დასახლებული, ერთის ენისა და ისტორიის მქონე ერი,—იმიტომ, რომ ამ ერში სხვა ერის წარმომადგენლებიც არიან ჩასახლებული და ისინი დაიჩაგრებიანო. ამავე დროს კი იგივე პარტია მომხრეობს მთელის კავკასიისთვის საერთო თვითმართველობას და ერთ კავკასიის ცენტრალურ ორგანოს, სადაც კავკასიის ყველა ერები იქნებიან შეხიზნულნი და ეროვნულ ჩხუბისა და წინააღმდეგობისათვის ზევრად უფრო დიდი ასპარეზი იქნება გაჩენილი.

თუმცა სოციალდემოკრატიულ პარტიის „საოლქო თვითმართველობას“, რომელიც სრულიად „რუსეთის კანონმდებლობის საზღვრებში“ განაგებს საქმეებს, თითქმის არაფერი საერთო არა აქვს პოლიტიკურ ავტონომიასთან, რომელსაც უეჭველად კანონმდებლობითი უფლებები ახლავს, მაგრამ, ჩვენდა გასაკვირველად, „სხივმა“ გუშინ გამოაცხადა, რომ სოციალდემოკრატები, თავის პარტიის პროგრამის თანახმად, საერთო კავკასიის ტერიტორიალურ ავტონომიას ემხრობიან. მათი აზრით, ასეთ საერთო ავტონომიაში არც ერთი ერი არ დაიჩაგრება ეროვნულად და სხვადასხვა ერის მუშა-ხალხიც ერთმანეთისაგან არ იქნება გათიშული.

ამ სახით, როგორც უნდა ვაბრუნოთ საკითხი, გამოდის ვითომ, რომ სოციალდემოკრატიული მოძღვრება არ შეეთანხმება ტერიტორიალურ-ეროვნულ ავტონომიის მოთხოვნას და ჩვენი სოციალდემოკრატებიც ამიტომ უცხადებენ მას წინააღმდეგობას და მომხრეობენ კავკასიის ერთ მთლიან ავტონომიას.

ჩვენის აზრით კი, ასეთი ტაქტიკა ჩვენებურ სოციალდემოკრატებისა, როგორც ვთქვით, შედეგია პარტიულ ლიტერატურის უცოდინარობისა. კაუტსკის, რომელსაც სოციალდემოკრატიულ მოძღვრებისა ცოტა მეტი გაეგება, ვიდრე „სხივის“ პუბლიცისტებს,—აქვს ერთი ფრიად საინტერესო წერილი ავსტრიის შესახებ, რომელშიაც ამტკიცებს, რომ ავსტრიაში გამწვავებულ ეროვნულ ბრძოლას და ამ სახელმწიფოს საქმეების არევ-დარევას მხოლოდ ეროვნებათა ფედერაცია მოუღებს ბოლოსო. იგი სასტიკად ჰკიცხავს გერმანელების ტაქტიკას ავსტრიაში, რომელთაც მოითხოვეს ჩეხიის ორნაწილად გაყოფა,—ერთი გერმანელებისთვის და მეორე ჩეხებისთვის, ხოლო საერთო პარლამენტის დატოვებას კი მხარი დაუჭირეს. კაუტსკის აზრით, ავსტრიის ტერიტორია დაყოფილ უნდა იქმნეს, ნაცვლად ეხლანდელ ადმინისტრატიულ დაყოფვისა, „ეროვნულად“, ე. ი. ენის მიხედვით, და თითოეულ ეროვნულ ერთეულს უნდა მიეცეს პოლიტიკური ავტონომია. შემდეგ კი ეროვნულ ავტონომიებისაგან უნდა შესდგეს მთელის სახელმწიფოს შემადგენელი ფედერაცია. „როცა ავსტრიაში მოისპობა ახლანდელი გროვა „სამეფოებისა და ოლქებისა“ და მის ნაცვლად დამყარდება სახელმწიფო (ფედერაცია) ეროვნებათა, რომელიც ავტონომიურად ერთმანეთის გვერდით ცხოვრობენ და ერთმანეთთან მუშაობენ,—აი, მხოლოდ მაშინ გაიწმინდება და განვითარდება კლასობრივი ბრძოლა პროლეტარიატისა. ერის დამოუკიდებლობა აუცილებელი პირობა და ნიადაგია თანამედროვე კლასობრივ ბრძოლისა. ხალხი უეჭველმხრივ თავისუფალი უნდა იყოს, რომ პროლეტარიატმა შესძლოს ან ისურვოს მთელის თავის ძალღონით თავის სოციალურ მოწინააღმდეგეს ებრძოლოს. პროლეტარიატი თავის ნორმალურ და უეჭველმხრივ განვითარებისთვის საჭიროებს ერის, ნაციის დამოუკიდებლობას ისევე, როგორც საყოველთაო საარჩევნო უფლებას, კავშირებისა და პრესსის თავისუფლებას. პროლეტარიატის ინტერნაციონალობა ნიშნავს არა უეროვნობას,—ეროვნების უარყოფას, არამედ ეროვნებათა თავისუფლებას და თანასწორობას“.

ამას ამბობს კაუტსკი,—ის კაუტსკი, რომელიც პირველი თეორეტიკოსია გერმანიის სოციალდემოკრატიისა და რომელსაც სოციალდემოკრატიულ პრინციპებისა ცოტათი უფრო მეტი გაეგება, ვიდრე ბ-ნ მახარაძეს და ძმათა მისთა.

ჩვენებური სოციალდემოკრატია მაინც განაგრძობს მის მიერვე შეთხზულ შაბლონების ღეჭვას, როდემდის?

ამას ახლო მომავალი დაგვანახვებს.

მუშათა დეპუტატების საბჭოს მანიფესტი

„მთავრობა გაკოტრების ხრამს მიადგა; მან მთელი რუსეთი ნანგრევებად აქცია და დახოცილთა გვამებით გაავსო. დატანჯული

შეული გლეხი ხარკს ველარ იხდის. მთავრობამ ხალხის აუარებელი ფული დაურიგა მემამულეებს და ახლა აღარ იცის, როგორ მოექცეს მემამულეთა დაგირავებულ მამულებს. ფაბრიკები და ქარხნები უსაქმოდ დგანან, სამუშაო არა აქვთ; ვაჭრობა შეჩერდა. უცხოეთში ნასესხ ფულით მთავრობა რკინის გზებს, ფლოტსა და ციხეებს აშენებდა და იარაღს ყიდულობდა.

უცხოელთა სესხის წყაროც დაილია. ხაზინის ფულით გამდიდრებას დაჩვეული ვაჭრები, მოიჯარადრენი და მექარხნენი თავიანთ კანტორებსა და ქარხნებს ჰკეტავენ, რადგან შემოსავალი აღარა აქვთ. ერთ გაკოტრებას მეორე მოსდევს, ბანკები ინგრევა და სავაჭრო აღებ-მიცემობაც უკიდურესობამდის შემცირდა. მთავრობის ბრძოლა რევოლუციასთან დაუსრულებელ ღელვას იწვევს. არავინ იცის, მეორე დღე რით გათენდება: უცხოელთა კაპიტალი ისევ უცხოეთში მიდის და მას თან რუსეთის კაპიტალიც მისდევს. მდიდრები თავიანთ ავლა-დიდებას ჰყიდიან და საზღვარ-გარეთს აფარებენ თავს, მძარცველნიც მირბიან და თან ხალხის ნაოფლარი მიაქვთ.

მთავრობა სახელმწიფო შემოსავალს ყოველთვის მხოლოდ ჯარსა და ფლოტზე ხარჯავდა; სკოლები არ არის, გზები გაფუჭებულია, მაგრამ, ამის მიუხედავად, მთავრობას სალდათების შესანახად საჭირო ფულიც კი გამოელია. მთელ რუსეთს გაღატაკებულთა და დამშეულთა არმია მოედო; რკინის გზის შემოსავალი იღუპება, რკინის გზების კასსები დარბეული და დაცარიელებულია. რკინის გზის შემოსავლის აღსადგენად კი მთავრობას რამდენიმე ასი მილიონი სჭირია.

მთავრობა სახელმწიფო შემოსავალ-გასავალს ყოველთვის ყალბად ადგენს, ერთსაც და მეორესაც ნამდვილზე ნაკლებს აჩვენებს და ამით დეფიციტის დამალვას ცდილობს. უკონტროლო მოხელენი ისედაც აკლებულ ხაზინას სძარცვავენ. ასეთ ფინანსიურ გაღატაკებისაგან რუსეთის გადარჩენა შეუძლიან მხოლოდ დამფუძნებელ კრებას თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგ, რომელიც სისტიკად გამოიძიებს და გამოარკვევს სახელმწიფო ფინანსებს და ნათლად, დაწვრილებითა და ზედმიწევნით შეადგენს სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის რაოდენობას"*).

საქარხნო მედიცინა და ბიუროკრატია

—

კაპიტალისტურ წყობილების განვითარებამ ყველგან ძლიერი მუშათა მოძრაობა შექმნა. მუშათა კლასი იბრძვის თავის ეკონომიურ და პროფესიონალურ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ბრძოლის ერთი საუკეთესო იარაღთაგანია გაფიცვა, მუშაობის აღკვეთა. მაგრამ გაფიცვა ყოველთვის ადვილი არ არის, ამიტომ მუშები ცდილობენ, ერთხელ მოპოებული უფლება გაამაგრონ, ცხოვრებაში დააკანონონ, ძალა დაატანონ მთავრობას, რომ მუშების დამცველ კანონების გამოცემას ეცადოს. დასავლეთ ევროპასა და ამერიკაში უკვე არსებობს საქარხნო კანონმდებლობა, რომელიც, მართალია, უნაკლულო არ არის, მაგრამ რამდენიმედ მაინც იცავს მუშებს აღების თავშეუკავებელ ძალმომრეობისაგან.

სულ სხვაა რუსეთში. მართალია, აქ უკვე საკმაოდ განვითარებულია კაპიტალისტური წყობილება, საკმაოდ ძლიერია მუშათა კლასი, მაგრამ, სამაგიეროდ, არა ნაკლებ ძლიერია მეფის მთავრობა, ბიუროკრატია. ამიტომ არის, რომ საქარხნო კანონმდებლობა რუსეთს 2 ივნისს 1897 წელს ძლივს ეღირსა, მაგრამ ეს კანონი იმდენად სუსტია, იმდენ ადგილს უთმობს მინისტრების „მამობრივ მზრუნველობას" და აღების თავგასულობას, რომ მის კანონიერობაზე ლაპარაკი თითქმის მეტია. მისი სუსტი მხარე, როგორც, საზოგადოდ, მეფის მთავრობის ყველა კანონებისა, ის არის, რომ ის არ ცდილობს კანონის დარღვევისთვის ძლიერი მხარე,—კაპიტალისტები—დასაჯოს, და ამით მათ სრული უფლება ეძლევა თავის ნებაზე იმოქმედონ. საქარხნო კანონმდებლობის ყველაზე უფრო სუსტ მხარეს ის შეადგენს, რომ ის ყურადღებას არ აქცევს, ეგრედ წოდებულ, **საქარხნო მედიცინას**.

არავისთვის არ არის უცნობი დღევანდელის დაქირავებულის მუშის მდგომარეობა. ძველის დროის მონას მეტ ყურადღებას აქცევდნენ, ვინემ ჩვენის დროის „თავისუფალ" მუშას. ეს უკანასკნელი თავის სიცოცხლის მეტ ნაწილს ქარხანა-სახელოსნოში ატარებს, სადაც ის მანქანების უბრალო დამატებაა და სხვა არაფერი. დამყაყებული ჰაერი და მავნე გაზები მის აგებულებას ნელ-ნელა სწამლავს, მანქანისაგან მისს სხეულს ყოველ წუთს ხიფათი მოელის. სამართლიანობა მოითხოვს, რომ სახელოსნო ჰიგიენურად იქმნეს მოწყობილი, შიგ საკმაო სითბო-სინათლე და ჰაერი იყოს, მანქანები ისე დაიდგას, რომ მუშის სხეულს არა ევნოს-რა. თუ, მიუხედავად ასეთის პირობებისა, მუშა მაინც გახდება ავად ან დაშავდება, კაპიტალისტი ვალდებული უნდა იყოს უწამლოს მას, მისი ჯანმრთელობა აღადგინოს, რისთვისაც საჭიროა ქარხანასთან საავადმყოფოს დაარსება და მუდმივ ექიმის დაქირავება. ასეა დასავლეთ ევროპაში. გერმანიის „სამრეწველო წესდების" მე-18 მუხლის ძალით, კაპიტალისტს ნება არა აქვს ქარხანა-სახელოსნო ააგოს, თუ საჭირო სანიტარული პირობები დაცული არ იქმნება. ასეთივე კანონები არსებობს ავსტრიაში, საფრანგეთში, ინგლისში, შვეიცარიაში, შვეციაში, ნორვეგიაში და სხვ. ამათში ზოგი მოკლედ და ზოგი ვრცლად აღნუსხავს, თუ რა სიდიდისა უნდა იყოს სახელოსნო, რამდენი ჰაერი უნდა მოდიოდეს თითოეულ მუშაზე, როგორ უნდა იყოს დადგმული მანქანები და სხ. 21 მარტის 1877 წლის კანონის ძალით, შვეიცარიის მთავრობას ნება ეძლევა სრულიად დაკეტოს ქარხანა ან სახელოსნო, თუ აღმოჩნდება, რომ „იმას მუშების ან ქარხნის ახლოს მდებარე ადგილების მცხოვრებლების ჯანმრთელობისთვის ვნება მოაქვს". ერთი სიტყვით, დასავლეთ ევროპაში ვერ შეხვდებით ისეთ ქარხანას ან სახელოსნოს, რომ სანიტარული პირობები, ასე თუ ისე, დაცული არ იყოს.

რუსეთში, როგორც უკვე ვსთქვით, ასე არ არის. ერთი საქარხნო ისპექტორი, რომელსაც მუშების მომხრობას ვერავითარ შემთხვევაში ვერ დავსწამებთ, პირდაპირ ამბობს ერთს თავის ანგარიშში, რომ რუსეთის კანონმდებლობამ არ იცის მუშების ჯანმრთელობის დამცველი ზომა. ეს არც გასაკვირველია, რადგანაც კანონების გამოცემის საქმე მინისტრებისა და მსხვილ კაპიტალისტების ხელშია, მათი სისრულეში მოყვანა ბიუროკრატიასა აქვს მინდობილი. სიმართლე მოითხოვს ვთქვათ, რომ ბიუროკრატიას ეს კითხვა უყურადღებოდ არ დაუტოვებია, რაც მხოლოდ... კომისიების მოწვევასა და პროექტების შედგენაში გამოიხატა. ამ მხრივ მან ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ჯერ კიდევ 1859 წელს ფინანსთა მინისტრის თავმჯდომარეობით შესდგა კომისია ახალ წესდების შესადგენად. ამავე დროს შესდგა მეორე კომისია, რომელსაც მუშების მდგომარეობის გამოკვლევა, „შესწავლა" მიენდო. ამრიგად შეგროვდა დიდძალი მასალა, რომელმაც ცხადჰყო ქარხნების არა-სანიტარული მდგომარეობა, გამოარკვია, რომ ქარხნებში არც საკმაო ჰაერი და არც სითბო-სინათლე იყო, რაც ხელს უწყობდა ათასგვარ ავადმყოფობის გაჩენას; რადგანაც ქარხნის ახლო ექიმი და საავადმყოფო არ მოიპოვებოდა, ამიტომ ავადმყოფობა, მეტადრე გადამდები, მუსრს ავლებდა არა მარტო მუშებს, არამედ ახლო-მახლო მდებარე ადგილების მცხოვრებლებსაც. ეს იყო და ეს. კომისიების ნამუშევარი არქივში გაამგზავრეს და მთელის თერთმეტის წლის განმავლობაში ეს საკითხი არავის მოჰგონებია. 1870 წელს ისევ შესდგა კომისია გრაფ იგნატიევის თავმჯდომარეობით. 1874 წელს ასეთივე კომისია იქმნა დანიშნული მინისტრ ვალუევის თავმჯდომარეობით. ამ კომისიებმაც დაამოწმეს ქარხნების არა-სანიტარული მდგომარეობა და საჭირო კანონების გამოცემა ურჩიეს მთავრობას. მაგრამ სახელმწიფო საბჭოს ეს არ ეპიტნავა და კომისიების ნამოქმედარი ისევ არქივებში იქმნა დამარხული. ასეთივე კომისია შესდგა 1894 წელს, მაგრამ მასაც წინანდელ კომისიების ბედი ეწვია.

რა მდგომარეობაშია საქარხნო მედიცინა დღეს?

არსებულის კანონმდებლობით, ერობებს ნება ეძლევათ გამოსცენ სავალდებულო დადგენილებანი ქარხნების სანიტარულ პირობების შესახებ. მაგრამ, „სამრეწველო წესდების" 52 მუხლის ძალით, ეგეთივე უფლება ენიჭება **საქარხნო საკრებულოს**. 1893 წ. შინაგან საქმეთა მინისტრის განმარტებით, საქარხნო საკრებულოს მიერ გამოცემულ დადგენილებებს უპირატესობა უნდა მიეცეს ერობების მიერ გამოცემულ სავალდებულო წესებთან შედარებით. მინისტრის „განმარტების" აზრს ადვილად გავიგებთ, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, თუ რა პირებისაგან შესდგება ეს საკრებულო. გუბერნატორი, მისი თანაშემწე, სამთო და საქარხნო ინსპექციის თავმჯდომარე, ოლქის სასამართლოს პროკურორი, ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი და მრეწველობის ოთხი წარმომადგენელი—მსხვილი კაპიტალისტები,—აი—ვისგან შესდგება ეს საქარხნო საკრებულო. ყველასათვის ცხადია, რომ ასეთი საკრებულო არ უღალატებს აღების ინტერესებს, ის ყოველ შემთხვევაში ეცდება, საკმაო „ზნეობრივი" გავლენა იქონიოს მუშებზე, და ამ მხრივ ერობები მას ვერ შეედრებიან.

საზოგადოდ უნდა ვთქვათ, რომ პროლეტარიატის გაძლიერების შიში მეფის მთავრობას მოსვენებას არ აძლევს, ამიტომ ის მუდამ წინააღმდეგობას უწევს მუშებისთვის დამცველ კანონების გამოცემას და, თუ ვინიცობაა, ასეთი კანონი გამოსცა, ის ისევ ეცდება, მის ცხოვრებაში განხორციელებას ხელი შეუშალოს; თანაც ის ურცხვად აცხადებს თავის ქვენა განზრახვებს და თავის ნათქვამს ხშირად თვითონვე აბათილებს. 1893 წელს სახელმწიფო საბჭომ არ დაამტკიცა კანონი, რომელიც თხოულობდა კაპიტალისტის დასჯას იმ შემთხვევაში, თუ მისის გაუფრთხილებლობით მუშა მოკვდებოდა ან დაშავდებოდა. თავისი საქციელი სახელმწიფო საბჭომ შემდეგის მოსაზრებით გაამართლა: ასეთის კანონის შემოღებით რუსეთშიაც დაიბადება მუშათა საკითხი, რომელიც ჯერ არ არსებობსო. ამავე სახელმწიფო საბჭომ შვიდის წლის წინად, ე. ი. 1886 წელს, ვლადიმირსა და მოსკოვის გუბერნიებში მომხდარ მუშათა არეულობის შესახებ განაცხადა: „აღელვება, რომელმაც მუშათა შორის თავი იჩინა, არ არის შემთხვევითი მოვლენა. იმისი მიზეზები უნდა ვეძიოთ მუშათა და კაპიტალისტებს შორის არსებულ არა-ნორმალურ ურთიერთობაშიო". 1886 წელს აღების თავაშვებულმა ძარცვა-გლეჯამ მუშათა შორის ძლიერი აღელვება გამოიწვია, რაც მუშათა საკითხის არსებობას ცხად-ჰყოფდა, ხოლო შვიდის წლის შემდეგ ეს საკითხი აღარ არსებობს და შიშობენ, ვაი თუ მუშების მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ზრუნვამ ეს საკითხი ჩვენშიაც დაჰბადოსო. ასეთი ყოფილა ყველგან ბიუროკრატია და მისი ლოღიკა, ასეთია ის რუსეთშიაც. როცა „ბუნტი" ან სხვა რომელიმე მოვლენა მას შეაშინებს, ის ადგენს ახალ კანონს, ხოლო, როცა ქარიშხალი გაივლის და მშვიდობიანობა ჩამოვარდება, ის ისევ გონს მოდის და სამართლიან კანონს ან სპობს, ან ისეთ შენიშვნებს უკეთებს მას, რომ კანონის მხოლოდ მოგონებაღა რჩება. ასეთია 1866 წლის 2 აგვისტოს კანონის ბედ-იღბალი. ამ წელს მთავრობას შეეშინდა ხოლერის გავრცელებისა და ქარხნების ჰიგიენურად მოწყობის შესახებ კანონი გამოსცა. ეს კანონი გადაეცა საქმიო დეპარტამენტს სისრულეში მოსაყვანად, და არა უმართებულესს სენატს, რომლის მოვალეობაა ახალ კანონის გამოქვეყნება. მხოლოდ ოცის წლის შემდეგ, ე. ი. 1886 წელს მიაქცია სენატმა ყურადღება იმას, რომ კანონი მას არ გადაეცა გამოსაქვეყნებლად; „კანონთა კრებულში" (СВОДЪ ЗАКОНОВЪ) ის ჯერაც არ არის შეტანილი. საქარხნო საკრებულოები ყოველთვის ეწინააღმდეგებოდნენ მის ცხოვრებაში გატარებას და ეხლაც ეწინააღმდეგებიან, ასე რომ, ის ცარიელ სიტყვად რჩება. შინაგან საქმეთა და ფინანსთა მინისტრები მუშებისადმი „მამობრივ მზრუნველობას" კვლავ განაგრძობენ. მუშების ჯანმრთელობა მხოლოდ აღების სურვილსა და გულკეთილობაზე ჰკიდია. კაპიტალისტს შეუძლია საავადმყოფო დააარსოს და ექიმი მოიწვიოს, თუ ეს მისი სახელისთვის საჭიროა, და თანაც დიდ ხარჯებს არ მოითხოვს. ყველაფერი მისს სურვილზეა დამოკიდებული, ძალის დამტანებელი მას არავინ ჰყავს. „მოღალატე" საქარხნო ინსპექტორის ასალაგმავად მას ადმინისტრაცია და საქარხნო საკრებულო გაუწევენ დახმარებას, ურჩ ექიმს თვითონაც ადვილად გაუმკლავდება, რადგანაც ექიმი მისი მოჯამაგირეა, ოცი რიცხვისთვის მისგან მოელის ჯამაგირს და ფულის გულისთვის ხომ ბევრ რამის გაკეთება შეიძლება, მეტადრე ყალბის ანგარიშების წერა; თუ ვინიცობაა ექიმმა თავისი მაინც არ დაიშალა, კაპიტალისტი მას ითხოვს და მის ალაგას სხვას ქირაობს. საქარხნო მედიცინის მეორე დამახასიათებელი თვისებაა—მისი ფაქტიური ხასიათი. აღა პირდაპირ უარს არ ამბობს საავადმყოფოს დაქირავებასა და ექიმის მოწვევაზე. ის ხელშეკრულებას სდებს რომელიმე ერობის საავადმყოფოსთან, სადაც ავადმყოფ მუშას დახმარების მიღება შეუძლიან. ნამდვილად კი ასეთ საავადმყოფოს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ის ხშირად ოცი-ოცდაორის ვერსით არის მოშორებული ქარხანაზე. სადაც კი არსებობს ქარხანასთან საავადმყოფო, იქ მუშები უფრო ფერშლების ხელში არიან ჩაცვინულნი, ზოგან ავადმყოფებს ექიმი სწამლობს, მხოლოდ ქარხანაზე მოშორებით სცხოვრობს და თვეში ერთხელ ეწვევა ხოლმე ქარხანას. ამის შემდეგ საკვირველი არ არის, რომ ავადმყოფობა თანდათან მატულობს და უბედურ შემთხვევის მსხვერპლებიც ერთობ ბევრია. ამისი მიზეზია ის, რომ მრეწველობა ფართოვდება, მუშათა რიცხვი მატულობს, შემოდის გაუმჯობესებული მანქანები და თანაც კაპიტალისტების პასუხისმგებლობა ძველ პირობებში რჩება. 1901 წელს, მაგალ., 18234 უბედური შემთხვევა მომხდარა კაპიტალისტების მიზეზით და მხოლოდ 922 შემთხვევა შეუტანიათ ოქმში!

ასეთია ქარხნების სანიტარული მდგომარეობა. ბიუროკრატია თავის ჩვეულებას არა ჰღალატობს და სამინისტრომ ერთი პროექტი ამ ბოლო წლებშიაც შეადგინა. ამ პროექტზე ლაპარაკი მეტია, რადგანაც ის ჩვეულებრივის ბუნდოვანი ენით არის შედგენილი და ადმინისტრაციის თვითნებობას ჩვეულებრივ დიდ ალაგს უთმობს. პროექტი პროექტად რჩება, ხოლო ავადმყოფობა, მეტადრე გადამდები, მუშათა შორის თანდათან ფეხს იკიდებს და ქალაქებიდან სოფლებშიაც ვრცელდება. მუშა კლასი სრულ გადაგვარების გზაზეა შემდგარი. მას ვერავითარი პროექტი და მინისტრის მიერ შედგენილი კანონი ვერ უშველის. საჭიროა სრულიად ახალ პირობებში ჩაყენებული მუშათა კანონმდებლობა, რაც მთელ სახელმწიფოს არსებულ წესწყობილების შეცვლას მოითხოვს. მეფის მთავრობის სრული დამარცხება და დემოკრატიულ რესპუბლიკის დამყარება,—აი, რისთვის უნდა იბრძოლონ მუშებმა, თუ სურთ, რომ თავისი ეკონომიური და პროფესიონალური მდგომარეობა გაიუმჯობესონ და კაპიტალისტების ექსპლოატაცია შეზღუდონ.

კი—

მანჯურიის ჯარის შესახებ

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

გაზეთ „ვოსტოჩნოე ობოზრენიე"-ში *) ბ-ნი იმშენეცკი მოგვითხრობს ერთს მეტად საინტერესო ამბავს, რომელიც კარგად გვიხატავს, თუ რა აზრებითა და გრძნობებით ბრუნდება ჯარი შორეულ აღმოსავლეთიდან:

სად. სლიუნიკაზე ერთმა დაჭრილმა სალდათმა, გვარად აგეევმა, მეორე რანგის კაპიტანს, პოლკოვნიკ კავალჩუკს, პურის საყიდლად, ერთი აბაზი სთხოვა. პოლკოვნიკმა უარი სტკიცა და თან ლანძღვა-გინება დაუწყო. ამის მაყურებელმა მეორე დაჭრილმავე ამხანაგმა აგეევს წყენით ხელი მოჰკიდა და გაატრიალა შემდეგის სიტყვებით: „უნდა გრცხვენოდეს, რომ პურისთვის ფულს სთხოვ და მერე ვის?—აფიცერს. განა მაგათ კაცის შებრალება იციან!"

ორთავე ჯარის კაცს გიორგის ჯვარი აქვთ მიღებული.

სალდათის სიტყვები პოლკოვნიკს იმდენად ეწყინა, რომ უეცრივ ხმალი იძრო და ორთავესთვის უნდოდა თავები გაეჩეხინებინა.

დამსწრე საზოგადოება დიდად აღელდა და პოლკოვნიკს მუქარა დაუწყო. უკანასკნელი გულ-გახეთქილი გაიქცა და ჟანდარმთა განყოფილებაში დაიმალა.

რამდენიმე ხნის შემდეგ, პოლკოვნიკი დაბრუნდა შეიარაღებულის სალდათებით და აგეევი ამხანაგითურთ დაატუსაღა. საზოგადოება ამაზე უფრო აღელდა და გაჩნდა მუქარა და ხმაურობა.

„აბაზი განა რა ფულია, გაიძახის ერთი სადად ჩაცმული მგზავრი, რომ ამისთვის ორი კაცი დაიღუპოსო. „ბ. აფიცერო!"—მიმართა სამხედროდ ჩაცმულს: — „გთხოვთ შეურაცხყოფას ნუ მაყენებთ,—უპასუხა უკანასკნელმა,—მე აფიცერი არა ვარ, სამხედრო ექიმი გახლავართ" „რას მიბრძანებთ?"

„პოლკოვნიკი სტყუის, მაგრამ არც სალდათია მართალი; სანოვაგისათვის ფულს ჯარის-კაცთ საკმაოდ აძლევენ და ამიტომ არცა სჭირიათ იმათხოვრონ",—რიხიანად უმტკიცებს ერთ ჯგუფს აკადემიის ნიშნით შემკული აფიცერი. „აი, თუ გნებავთ, ამ სალდათ-კავალერს ჰკითხეთ,—და აფიცერმა ხელი სამის გიორგის ჯვარით შემკულ „ვოლნოოპრედელიაიუშჩ"-ზე მიიშვირა.

„სიცრუეა",—მკვახედ უპასუხა ვოლნოოპრედელიაიუშჩმა და აფიცერს დაცინვით დააცქერდა. აფიცერი შეკრთა და შერცხვენილი გაბრუნდა. ჰაერში კი ტაშის ცემა და ხარხარი გაისმა.

დამსწრე საზოგადოებამ ერთხმად გადასწყვიტა, რომ სადგურიდან ფეხს არ მოიცვლიდა, თუ დატუსაღებულნი განთავისუფლებულნი არ იქმნებიანო. თხოულობდნენ საბრალმდებლო ოქმის შედგენას და პოლკოვნიკის დატუსაღებას. უკმაყოფილებას უფრო გიორგის კავალერები—სალდათები აცხადებდნენ. ერთი მათგანი ფელთფებელის ნიშნებით მხრებზე წინ წადგა, ყარაულ სალდათების ჯავრობას ყური არ ათხოვა, მათი წრე გაარღვია, დატუსაღებულთა კარებთან მივიდა და დაუძახა, რომ გამოსულიყვნენ.

აქ უეცრივ ისევ ის პოლკოვნიკი გაჩნდა და ფელთფებელს ლანძღვა-ყვირილი დაუწყო. ფელთფებელმა მკვახედ ზრდილობა მოსთხოვა, დაჭრილები გაანთავისუფლა და დაემუქრა, გიჩივლებო.

მატარებელი რომ უნდა დაძრულიყო, საზოგადოება ორად გაიყო და შერცხვენილი და თავჩაღუნული კაპიტანი ყიჟინით და დაცინვით შუაში გაატარეს. ამ დაცინვასა და დემონსტრატიულ ქცევაში მხურვალე მონაწილეობას იღებდნენ ლურჯი ფარაჯები აფიცრისა და სალდათის პაგონებით.

ბაიკალის სადგურზე 8 საათით გაგვაჩერეს, რადგან წინა მატარებელი მეორეს დასჯახებოდა. საზოგადოება, რასაკვირველია, მოწყენით იქმნებოდა,—განაგრძობს წერილის ავტორი,—თუ ის საერთო კითხვები არა, რომელიც დღეს ყველას აინტერესებს, საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებს აახლოვებს და ერთად თავს უყრის. ჩვენის საერთო ბაასის დროს, მარტო სამხედრო ჯგუფი წარმოადგენდა რაღაც განმარტოებულ, მოწინააღმდეგე ჯგუფს. იგი ჯერ თითქოს მონაწილეობას არ იღებდა, მაგრამ ბოლოს ისიც გაიტაცა საერთო მსჯელობამ.

— დიაღ, დიაღ, სრული სიმართლეა: მე აფიცერი ვარ და ფიცისა და დისციპლინის გამო მუნდირის პატივი უნდა დავიცვა,— კი არ ლაპარაკობდა, უფრო ყვიროდა კორნეტი გოლოვინი აფიცრებთან ბაასის დროს პირველ კლასის დარბაზში, სადაც შეგროვილიყვნენ მგზავრები და მხურვალედ კამათობდნენ დღევანდელ საჭირბოროტო კითხვებზე.

— მაგრამ, რომ იცოდეთ, ბატონებო, თუ რამდენი სულიერი ბრძოლა გამოვცადე, რამდენი ვიტანჯე... ან კი როგორა ჰბედავდნენ ისინი, ვინც ჩვენი უფროსები არიან, ვისაც ჩვენი ბედი აბარიათ, როგორა ჰბედავდნენ, რომ ჩვენში ყოველიფერი ადამიანური ჩაეხშოთ... უსულო საგნად გარდაექციათ ჩვენი აზრი და გრძნობა?!. განა მე, ან თქვენ, ვიცით, თუ ვინაა გლეხ-კაცი, ვინაა მუშა, თუ რას ნიშნავდა, მაგალითად, ეს ომი, ეს საშინელი ჟლეტა, მისი მიზანი და იდეა?!. უსინიდისოები"!..—შეჰყვირა მან, სტოლზე დაემხო და ბავშვივით ქვითინი მორთო.

რამდენიმე წამით ყველა გაშრა. ყველა იქ დამსწრეზე ამ სიტყვებმა საშინელი შთაბეჭდილება მოახდინა. წინააღმდეგი კრინტი არავის დაუძრავს. ორი წუთისთვის გაიქცა. დანარჩენებმა და, მათ შორის ოციოდე აფიცერმაც, თითქოს სასიკვდილო მსჯავრი მიიღესო, თავები ძირს დაჰხარეს და ერთ წერტილს მიაჩერდნენ: ღრმად რაღაცას ფიქრობდნენ. კორნეტის ქვითინი-ღა არღვევდა სიჩუმეს.

უეცრივ დარბაზში იგივ წყეული კაპიტანი შემოვარდა ორის ჟანდარმით და ერთ მგზავრს ხელი სტაცა. მის დატუსაღებას და საბრალმდებლო ოქმის შედგენას თხოულობდა,—სალდათებს აგულიანებდაო. მგზავრმა ბრალდებაზე წინააღმდეგობა განაცხადა და, თითქოს შეკრთა კიდეც. პოლკოვნიკს სურდა ყველას ჯავრი ერთზე ეყარნა. მაშინ, მეც წამოვდექი,—ამბობს ავტორი,—და ვითხოვე ჩემთვისაც შედგინათ ოქმი, რადგანაც ბრალდებულს მეც თანავუგრძნობდი. ამგვარისავე ოქმის შედგენა სხვა მგზავრებმაც მოითხოვეს.

პოლკოვნიკი უფრო და უფრო ღელდებოდა და ყველას ერთსა და იმავე უპასუხებდა:

— ძალიან კეთილი, ძალიან კეთილი!..

აფიცერთა ჯგუფი ამ სცენას ჯერ ჩუმად უყურებდა.

როდესაც თითქმის ყველა მგზავრებმა თავიანთი ბარათები სტოლზე დაალაგეს, წამოდგა პორუჩიკი, ბარონი ფონ რენე და განაცხადა, რომ პოლკოვნიკის ქცევა არც მას მოსწონს და სურს მის შესახებაც იყოს ოქმი შედგენილი.

— თქვენც! აფიცერიც კი ჩემი წინააღმდეგი ხართ?! დისციპლინის და მუნდირის წინააღმდეგ?!. თითქმის ჩურჩულით შეეკითხა მას პოლკოვნიკი.

— დიაღ, დიაღ, სრულიად მართალი ბრძანდებით,—მკვახედ [illegible] მე დისციპლინის მონა [illegible] და თქვენ სრული უფლება გაქვთ [illegible] მისაყვედუროთ, მაგრამ ამ ომმა, ამ სისხლის მორევმა, შინ და გარედ დაქცეულმა—ამიხილა თვალები, სხვანაირად დამაწყებინა გრძნობა და აზროვნება. დიდი სულიერი ტანჯვა გამოვსცადე—და, შეიძლება, ამით გამოვისყიდო ჩემი შეცდომა. მუნდირის პატივი-რა დაცინვაა მოაზრე ადამიანისათვის! მეომარ-მოქალაქის (ВОИНЪ-ГРАЖДАНИНЪ) პატივი და სიამაყე—აი, რა უნდა იყოს ჩვენი დევიზი!.. არა, არა, მე მუნდირს არ გავიხდი, რასაც ბევრი ფიცულობს დღეს; მე არ გავიხდი მუნდირს, რადგანაც მეომარი-მოქალაქე სჭირდება დღეს რუსეთს უფრო მეტად, ვიდრე როდისმე, და, როგორც მეომარი-მოქალაქე, გეუბნებით: თქვენი საქციელი უპატიოსნოა და ხელმეორედ გთხოვთ, ბ. პოლკოვნიკო, ჩემს შესახებაც შეადგინოთ ოქმი, რადგანაც მე სრულიად თანავუგრძნობ ყველა მათ, ვინც ცრუ-მორწმუნეობას არ ემორჩილება და ვინც სიმართლეს პირდაპირ შეჰყურებს, ვინც მოქალაქეა. ჩემი გვარი ბარონი ფონ-რენეა".

გაისმა დაუსრულებელი ტაშის ცემა.

ამგვარივე ოქმის შედგენის თხოვნით მიმართეს დანარჩენმა ყველა აფიცრებმაც.

პოლკოვნიკი შეშლილივით იმეორებდა:

— ძალიან, ძალიან კეთილი, ძალიან...

— „მოქალაქენო!—უეცრივ გაისმა უკანიდან ვიღაცის ხმა.

ეს ერთი მგზავრთაგანი იყო მოხუცი „პოლკოვნიკი", რომელიც აქამდე არაფერს მონაწილეობას არ იღებდა.

— მოქალაქენო!—უფრო ხმა მაღლა წარმოთქვა მან,—გიძღვნით მხურვალე პატივისცემას! დაბლა თავს გიკრავთ"...—აქ მართლა მიწამდე თავი დაგვიკრა.—„ძვირფას სამშობლოს სახელით გთხოვთ, ნუ შეჰხედავთ პოლკოვნიკ კ—ს[illegible] სავს საქციელს, როგორც ჩვენი წოდების დამახასიათებელს. ჩვენს შორის კარგებიც ბევრია... ჩვენც ადამიანები ვართ. ჩვენც გვსურს მოქალაქენი ვიყვნეთ და, შეიძლება, ეს საქმითაც დავამტკიცოთ. ნუ გვკიცხავთ ეგრე სასტიკად: ჩვენთვის ძნელი ასატანია. შეხედეთ, აბა, ეგ როგორ შერცხვენილია; თქვენა გგონიათ, ეგ არა გრძნობს თავის შეცდომას!?. აბა, ერთი შეხედეთ!.. ახლა ეგეც ხომ ჩვენია. მაშ განშორდით, მოქალაქენო, წყნარად!!!

განუწყვეტელმა ვაშას ძახილმა და ტაშის ცემამ მოხუც პოლკოვნიკს სიტყვა აღარ დაათავებინა.

— ძლიერ სასიამოვნოა!—ლუღლუღებდა დარცხვენილი პოლკოვნიკი. *).

ვ. ლიძე.

ახალი ამბავი

—

1-ლ დეკემბერს ტფილისის თავად-აზნაურობამ აირჩია **საგანგებო კომისია**, რომელსაც დაევალა დღევანდელ პოლიტიკურ მდგომარეობისათვის თვალყურის დევნება. ამ კომისიამ შემდეგის მოწოდებით მიჰმართა ქართველ თავად-აზნაურობას: რადგანაც რუსეთის ამბები დღითი-დღე ვითარდება და მწვავდება, რამაც წამოაყენა საკითხი საქართველოს არსებობისა, და ამის გამო აუცილებლად საჭიროა, ან შევქმნათ ერთი ისეთი ახალი საზოგადო ორგანიზაცია, რომელსაც შეეძლება შეაერთოს საზოგადოების ყველა ძალები, ან შევუერთდეთ რომელსამე უკვე არსებულს პარტიას, ვთხოვთ ტფილისის თავად-აზნაურთ, მობრძანდნენ ამ საქმის შესახებ მოსალაპარაკებლად ტფ. სათავად-აზნაურო დეპუტატთა საკრებულოს სადგომში კვირას, 11 დეკემბერს, შუადღის 12 საათზე".

◆ გრიბოედოვის ქუჩის მოქალაქეებმა შეადგინეს თავდამცველი ორგანიზაცია, რომელმაც უკვე შეიმუშავა მილიციონერთათვის **სახელმძღვანელო ინსტრუქცია**.

◆ ხვალ, 12 დეკემბერს, ქალაქის გამგეობის სადგომში, საღამოს 4 საათზე, დანიშნულია **ტფილისის ქალაქის თვითმმართველობის მოსამსახურეთა კავშირის კრება**.

◆ ტფილისის ცეცხლის მქრობელ რაზმის წევრებმა ქალაქის თვითმმართველობის მოსამსახურეთა კავშირს სთხოვეს, **თვენის კავშირის წევრებად მიგვიღეთ** და თქვენს მოთხოვნილებათა შორის ჩვენი მოთხოვნილებანიც მოიხსენიეთო.

◆ 9 დეკემბერს რეფერატს „სოციალ-დემოკრატია და სომეხ-თათართა ხოცვა-ჟლეტა" ხალხი ნაკლებად დაესწრო. ერთმა სოციალ-დემოკრატმა აღნიშნა უმთავრესნი მიზეზნი ხოცვა-ჟლეტისა: თათართა გაუნათლებლობა, ორთავე ერის ბურჟუაზიის გავლენა ხალხზე და მთავრობის პროვოკაცია, და შემდეგ დებატები გაიმართა, რომელმაც ღამის 12 საათამდე გასტანა.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობას მსჯელობა ჰქონდა **ახალ საარჩევნო სიის შედგენის** შესახებ საბჭოს ხმოსანთა ასარჩევად და ის აზრი მოიწონა, რომ დაარსდეს ბიურო, სადაც ჩაეწერებიან ყველა ის პირნი, რომელთაც არჩევნებში მონაწილეობის მიღება სურთ. ამ საგნის შესახებ წვრილებით მოხსენების შედგენა ხმ. არ სკი-დოლგორუკოვს დაევალა.

◆ პარასკევს, 9 დეკემბერს, საღამოსზე, დახურულ ბაზარში დადიოდა ერთი ყმაწვილი კაცი, რომელიც ვაჭრებს ურჩევდა, მაღაზიები დაკეტეთ, რადგან, საცაა, „ბუნტი" დაიწყება. ამ ლაპარაკით რომ ვერაფერი გააწყო, უცბად გაიქცა და დაიყვირა: ჩქარა დაკეტეთ, მოდიან! მაღაზიების ნოქრებმა და „დაშნაკცუ

---

*) მანიფესტს ხელს აწერენ: რუს. სოც.-დემ. მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი და საორგანიზაციო კომისია, გლეხთა კავშირის მთავარი კომიტეტი, ცენტრალური კომიტეტი სოციალისტ-რევოლუციონერებისა, პოლონელ სოციალისტთა პარტია და სრულიად რუსეთის რკინის გზათა კავშირის ცენტრალური ბიურო. ეს მანიფესტი სრული არ არის. ამ მანიფესტის დაბეჭდვისთვის მთავრობამ შვიდი გაზეთი დახურა. მანიფესტის გამომცემლებმა დაადგინეს, ფურცლებით გაავრცელონ ეს მანიფესტი, მაგრამ მთავრობა აქაც წინ ეღობება და ყოველნაირად ცდილობს მანიფესტი ხალხში არ გავრცელდეს.

*) ქ. ირკუტსკში გამოდის. 19 ნოემბერი № 255.

*) ამ ამბავის გაზეთში გამომქვეყნება, როგორც წერილიდგან სჩანს, თვით დამსწრეთ მოუწყურებიათ. ვ. ლ.

ტუნის" მილიციონერებმა ყმაწვილი კაცი შეიპყრეს, რომელსაც ხელში ბენზინით სავსე შუშა აღმოაჩნდა. „დაშნაკცუტუნებს" ჯერ ეგონათ, პროვოკატორი მაჰმადიანიაო და მოინდომეს მისი მოკვლა, მაგრამ, გაიგეს რა, რომ სომეხი იყო, სადღაც წაიყვანეს და გადამალეს (კ. რ. ლ).

◆ წელს ახლად **ჯარში** გაწვეულ 150 ყმაწვილ კაცთა შორის, გუშინ სამხედრო უფროსთან მხოლოდ 9 **კაცი გამოცხადდა.**

◆ ნამესტნიკის სახელზე დეპეშა მოვიდა, რომ, ნაცვლად ინჟენერ ივანოვსკისა, ამიერ-კავკასიის რკინის გზის **უფროსად ინჟენერი შაიკევიჩი დაინიშნებაო.**

◆ ბორჩალოს მაზრის უფროსმა გუბერნატორის წინაშე **შუამდგომლობა აღძრა**, რომ, სხვათა შორის, ექვსის სოფლის ქართველებს იარაღი დაურიგდეთ.

◆ გუშინ, 10 დეკემბერს, შუადღის 12 საათზე, ტფილისის სათავად-აზნაურო გიმნაზიის **სოციალ-დემოკრატ მოსწავლეებს კრება ჰქონდათ** ამავე გიმნაზიის სადგომში. სხვათა შორის, მოსწავლეებმა ამ კრებაზე გადასწყვიტეს თავიანთ **ორგანის დაარსება ქართულ ენაზე**, რომელსაც სახელად „ნაპერწკალი" ერქმევა.

◆ ქართლიდან გვატყობინებენ, რომ რამდენიმე ცნობილი თავადიშვილი სადღაც გადახვეწილა. ცოლშვილისთვის კი წერილები დაუტოვებიათ, თავს უპატრონეთო. — სად წასულან, კაცმა არ იცის.

◆ „პატრიოტულ" პარტიას განუზრახავს, გამოსცეს ტფილისში ყოველ-დღიური გაზეთი.

◆ სადგურ სანაინის მახლობლად მყოფ მანგანის **ლითონის ქარხნის მუშები**, რიცხვით, 2,000 კაცზე მეტი, **გაიფიცნენ** და ქარხნის პატრონს თავიანთი მოთხოვნილებანი წარუდგინეს.

◆ კავკასიის ნამესტნიკმა **სამშობლოში დაბრუნების ნება დართო** შიდა-გუბერნიებში გადასახლებულთ, ოზურგეთის მაზრის მცხოვრებთ იო დოლიძესა და სილიბისტრო პაპეიშვილს.

◆ ხმა დადის, **საპიორების ბატალიონი** განჯიდან მალე ისევ **ტფილისში დაბრუნდებაო.**

◆ ვაგონების დამტვირთველი მუშები **ხელახლა გაიფიცნენ**, რადგან რკინის გზის გამგეობამ მოთხოვნილებანი დადებულ ვადაზე არ შეუსრულა. მუშები თხოულობენ 25 მან. თვეში, სახლს, განათებას და გათბობას.

◆ სომეხ თათართა შორის მომხდარ სისხლის ღვრის დროს ტფილისში **მიხეილის საავადმყოფოში მიიყვანეს დაჭრილები:** მაჰმადიანები—39, მათ შორის მოკვდა 8; სომეხი—27, მოკვდა 1; ქართველი—14, მოკვდა 3; რუსი—4, გერმანელი—1; ებრაელი—1. ხარფუხის საავადმყოფოში [illegible] შეუხვიეს 300 კაცს, ყველა ესენი მაჰმადიანები იყვნენ.

◆ პარასკევს, 9 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე, მეორე საპოლიციო უბანში, ერთ ვაჭარს თავს დაესხმია სამი ხულიგანი, „ჩვენ „კომიტეტის" კაცები ვართ და, თუ ფული და იარაღი არ მოგვეცი, სიცოცხლეს გამოგასალმებთო". ვაჭარს უთქვამს: რაც შემიძლია, გეხმარები კომიტეტს, როცა იმათგან სანდო კაცები მოვლენო. მათ არც კი დაუცდიათ სიტყვის დათავებისთვის, ერთ მათგანს გულზე რევოლვერი აუშვერია და უბრძანებია, ფული და იარაღი ჩქარა მოგვეციო. გაუტაციათ 150 მანათამდე ფული, ერთი ვერცხლის საათი და მიმალულან.

◆ პარასკევს, 9 დეკემბერს, მერვე საპოლიციო უბანში, მილიციონერებმა შეიპყრეს სამი უცნობი კაცი, რომელნიც ღამებით დუქნის გატეხას ცდილობდნენ. დატყვევებულები თავის-დამცველ რაზმთა [illegible] წაიყვანეს.

◆ **ცხინვალიდან გვატყობინებენ:** რამდენიმე დღის წინად ცხინვალში ადგილობრივმა სოციალდემოკრატიულმა ორგანიზაციამ სახალხო მიტინგი მოახდინა, რომელსაც აურაცხელი ხალხი დაესწრო. მიტინგის ერთმა მეთაურმა გ. გ—შვილმა ხალხს გამოუცხადა: სოც.-დემოკრატიას თავის საქმეების მოსაწყობად ფული სჭირია. სხვა ადგილებში ჩვენი პარტია კვიტანციებით აგროვებს ფულს და ხალხიც იძლევა, აქ კი—მეტი გზა არ არის—ყველას შეძლების გვარად უნდა გავაწეროთ ფულიო. „თუმცა ეს პოლიციური წესია,—განაცხადა ორატორმა,—მაგრამ, რა გაეწყობა, სხვა გზა არ არის და ასე უნდა მოვიქცეთო". ორგანიზაციამ შეადგინა ხარკის სია და ფულის აკრეფასაც შეუდგა. ზოგზე გაწერილია ხუთი თუმანი, ზოგზე—სამი, ზოგზე 25, 15, 10 მანეთი და ნაკლებიც.

◆ ფუნიკულიორზე მოსამსახურენი დაითხოვეს და ყველას სამ სამი თვის ჯამაგირი მისცეს.

◆ ტფილისის „პატრიოტებმა" რუსულ ენაზე ერთი ლექსი შეთხზეს, რომელიც გადაკეთებულია მუშათა ცნობილ ჰიმნის „დრუჟნო ტოვარიშჩი"-დან. ლექსში გატარებულია ის აზრი, რომ საჭიროა აღვსდგეთ ყველა „პატრიოტები" და მხნედ გავილაშქროთ იმათ წინააღმდეგ, ვინც არ იძახის „გაუმარჯოს მეფეს".

სადღისო

ტალღებზე

უკვე ყრუდ ისმის ზღვის წიაღიდამ ზვირთების დუდუნი. ისინი აქეთ-იქით ერწევიან, ატოკებენ ერთმანეთს, რომ შემდეგ, საერთო ხმით დაიგრგვინონ, ამოხეთქონ ზღვის ზედაპირი და მოშლილი გემი, რომელიც ძლივსღა ამუშავებს მანქანას, მილეწ-მიამტვრიონ.

გემის უმთავრესი უფროსი შეკეტილა შიგნით ოთახში, მის ყურს ჩაზუზუნებს ქარიშხალი, ესმის გემის გვერდებზე ტალღების ცემა და თრთის შიშით.

მისი ხელქვეითნი, მისი დამქაშები ნახშირს უმატებენ საორთქლე ქვაბს, სჭიმავენ ანძას, საჭეს გამხეცებულები უსვამენ, მაგრამ გემი ძირს მიდის.

საკმარისია რამდენიმე მედგარი ზვირთი, რომ ის თვისის მმართველ-მოგზაურებით ჩაიღუპოს ზღვის უფსკრულში.

მალე დადგება ეს წუთიც. ამას გვიწინასწარმეტყველებენ უკვე ამოძრავებული ტალღები, რომელნიც სამშობლოს ყოველ მხარეს ახმაურებენ. ესენი წინამორბედნი არიან საშინელის ზღვის ღელვისა.

ეს არის ხმა მოთმინებიდამ გამოსულ ტანჯულის ხალხისა.

ეს ხმა უკვე იჩენს თვის სიმკაცრეს ჯერჯერობით პატარა მტარვალებზე.

ეს ნიშანია რევოლუციის პირველის საფეხურისა. ეს ნიშანია, რომ ის თამამად ადის კიბეზე და მალე მიადგება უმთავრეს ავაზაკებს, უმთავრეს ჯალათებს.

და აჰა, ახლა დგება ეს წუთიც.

კიბის სათავეში მოქცეულ ავაზაკებს უდგებათ განკითხვის დღე.

და როგორც წელში ქვა-დარტყმული გველი, ისინი ისარს იგძელებენ, ასველებენ შხამით, რომ თვით სამარეშიაც ბოროტი გულით ჩავიდნენ.

დიაღ, საშინელია მათი ბოლო, საშინელია მათი სიკვდილი!

იწყება დიდ ავაზაკების ჩაქოლვაც!

ი. ევდოშვილი.

ქუთაისის ცხოვრება

(სამღვდელოების კრება)

ხალხის ბრძოლით მოპოვებულმა 17 ოქტომბრის თავისუფლებამ იმისთანა წრეებშიაც კი შეაშუქა, რომელნიც თვითმპყრობელობის მუდამ ერთგული და ბასრი იარაღი ყოფილან.

5 დეკემბრის სამღვდელოთა პირველ თავისუფალ კრებაზე თავისუფლების კვალი ნათლად ემჩნეოდა. კრებას იმერეთის სამღვდელოთა გარდა გარეშე პირიც ბევრი დაესწრო. სამღვდელოთა მცირე ჯგუფის მეცადინეობით ჯერ კიდევ მარტში შემუშავდა პეტიცია და სათანადო მთავრობას წარედგინა. უმთავრესი მოთხოვნილება ამ პეტიციაში—ავტოკეფალია და საეკლესიო მართვა-გამგეობის სრული რეორგანიზაცია დემოკრატიულ საფუძველზე იყო. მაგრამ მთავრობამ შეუძლებლად მიიჩნია სამღვდელოთა მოთხოვნილების დაკმაყოფილება. ამ გარემოებამ დაარწმუნა სამღვდელოება, რომ იგი ზევიდან არ უნდა ელოდეს ხსნას და სექტემბერში ამოირჩია განსაკუთრებული კომისია ათის კაცისაგან, რომელსაც საქმის მოსაწესრიგებლად საშუალებათა გამონახვა დაევალა. ამ კომისიამ ერთად-ერთ უტყუარ გზად აღიარა ამორჩევითი სისტემის შემოღება და წინადადება მისცა ბლაღოჩინებს, როგორც ბიუროკრატიულ მთავრობის მიერ არჩეულ-დანიშნულთ, ხელი აეღოთ თავის თანამდებობაზე და თვითმმართველობის პრინციპის განსახორციელებლად თვით სამღვდელოებას აერჩია სამმო საბჭოები, თუმცა კომისიის ასეთი დადგენილება სამღვდელოების ერთ ნაწილს არ მოეწონა.

კომისიისაგან შემუშავებული სამმო საბჭოთა მოვალეობანი ასეთია:

1) საეკლესიო თვითმართველობის უმთავრესი ძარღვი არის სამმო საბჭო, რომელსაც ირჩევს ერთის წლის ვადით ოლქის სამღვდელოება (მღვდლები და მედავითნე-დიაკონნი) პირდაპირ, თანასწორ და ფარულ კენჭით. საბჭო შესდგება სამის წევრისაგან, რომელთაგან ერთი უნდა იქნეს მედავითნე და ორი მღვდელი; ესენი ირჩევენ თავიანთ შორის თავმჯდომარეს.

სამმო საბჭოს გადაწყვეტილების უკმაყოფილო მხარეს შეუძლიან მიმართოს ხელმეორეთ იმავე საბჭოს ხელმძღვანელობით საქმის გასარჩევად საოლქო კრებას, რომლის გადაწყვეტილებაც სავალდებულოა ორივე მხარისთვის.

უკეთუ კრებულის წევრსა და მრევლს შორის ჩამოვარდება რაიმე უკმაყოფილება, იმ შემთხვევაში სამმო საბჭო წინადადებას აძლევს ორივე მხარეს, მედიატორულის წესით გაარჩიონ საქმე, რისთვისაც ორივე მხარე ირჩევს თავ-თავიანთ მედიატორს, ხოლო ამორჩეულნი ირჩევენ მესამეს თავმჯდომარედ და ამათი გარდაწყვეტილება სავალდებულოა ორივე მხარისთვის.

2) საბჭოს მოვალეობა არის საამხანაგო საქმეების განხილვა და გადაწყვეტა ხმის უმეტესობით. ხმის უპირატესობა სამუდამოდ განდევნილია; პირად საამხანაგო საქმეებში საბჭოს გადაწყვეტილება უკანასკნელია, ხოლო, თუ ფართო ხასიათი ეძლევა და საზოგადოდ საერთო საქმეებში უკანასკნელი იქნება საოლქო კრების გადაწყვეტილება, საბჭომ უნდა ადევნოს თვალ-ყური, რომ არავინ მიმართოს რაიმე საქმეზე სხვა ვისმეს—გარეშე საბჭოისა და საოლქო კრებისა. მანვე უნდა ჩააგონოს ხალხსა, რომ მღვდელი და მედავითნე ამორჩევით ინიშნებოდნენ და, თუ რომელიმე მრევლი მიმართავს, ხელი შეუწყოს ღირსეულ კანდიდატების ჩვენებით და წესიერ კენჭის ყრით დემოკრატიულ საფუძველზე. ამ პრინციპის განხორციელება დაიწყება იმ მრევლიდან, რომელშიაც განთავისუფლდება მღვდლისა ან მედავითნის ადგილი.

3) საბჭო იკრიბება პერიოდულად; საქმე ირჩევა სიტყვიერ მოხსენებით და სწყდება, რაც შეიძლება, იმავე დღეს. საოლქო კრება ინიშნება ან საბჭოს გარდაწყვეტილებით, ან თვით სამღვდელოებისაგან, რომელიც განსაზღვრავს ამ კრებების რიცხვსა და წეს-რიგს. სასჯელი იქნება ზნეობრივი: საყვედური, გაფრთხილება, ბოიკოტი გასწორებამდე, წრიდან გამორიცხვა და სხვა.

ბათუმის ამბები

25 ნოემბერს ხმა გავრცელდა, რომ 28-ს საზარელი ამბავი უნდა მოხდესო. ყველა დარწმუნებული იყო, რომ წითელი რაზმელებისგან ალაგმული ხულიგნები ვერაფერს გაბედავდნენ და, თუ რამე მოხდებოდა, ამას ისევ კაზაკები ჩაიდენდნენ.

ამ დღეს საბჭოს სხდომა იყო დანიშნული და, როცა ხალხი იკრიბებოდა საბჭოს დარბაზში, იქნებოდა ასე საღამოს 7 საათი, ტელეფონით აცნობეს საავადმყოფოდან მის ზედამხედველს, კარლო ჩხეიძეს, რომ კაზაკებისაგან დახოცილ-დაჭრილები მოიყვანესო. ელვის უსწრაფეს მოედო ხალხს, რომ თათრის ბაზარში კაზაკები ხალხს ჟლეტენო.

საბჭოს სხდომა გადაიდო და ხალხი დაიშალა, მაგრამ ერთი საათის განმავლობაში კვლავ შეიკრიბა. საავადმყოფოდან კვლავ გვაცნობეს, რომ დაჭრილ-დახოცილთა რიცხვს თანდათან ემატებაო. საშინელი წამი დადგა, ხალხის აღელვებას საზღვარი არა ჰქონდა. ამორჩეულ იქმნა დეპუტაცია ქალაქის მოურავითურთ, რომლის პირითაც ხალხმა მოსთხოვა გუბერნატორს სისხლის ღვრის შეჩერება და კაზაკების ბათუმიდან დაუყოვნებლივ გაყვანა. პასუხად მიიღო: ეს ჩემი საქმე არაა და კომენდანტს მიმართეთო. იგივე დეპუტაცია გაემართა კომენდანტთან, რომელმაც უპასუხა: უნამესტნიკოდ არაფერი არ შემიძლიაო. მთავრობის ყალთაბანდობამ ხალხი უსაზღვროდ ააღელვა და კრებაზე გადასწყვიტა უსასტიკესი გაფიცვა, რასაც შეუერთდა ადგილობრივი რკინის გზის წარმომადგენელნიც და ამრიგად მიმოსვლაც შესწყდა.

ამავე კრებაზე მოვიდა 25-მდე თოფიანი სალდათი და ორი აფიცერი. თუ რა მიზნით, გამოურკვეველია, რადგან შემდეგმა საქმის მიმდინარეობამ დაგვიმტკიცა, რომ სალდათებმა რეალურად არამც თუ დახმარება, არამედ, სამწუხაროდ, საზიზღარი და მოულოდნელი წინააღმდეგობა გაუწიეს ხალხს.

ხალხი დაიშალა ნაშუაღამევის 2—3 საათზე იმ გადაწყვეტილებით, რომ მეორე დღეს, დილით, საავადმყოფოში შეყრილიყო, დასახიჩრებული გვამები დემონსტრატიულად ქალაქის ქუჩებზე გამოეტანა, გამგეობის ეზოში მოესვენებია, მოეწვიათ მტარვალები მათდა სანახავად და შემდეგ, გარემოების მიხედვით, მოქცეულიყო.

29 ნოემბერს დიდძალი ხალხი დაიძრა საავადმყოფოსაკენ. ხალხს ახლდა შეიარაღებული წითელი რაზმი, მაგრამ განზრახვა სისრულეში მოყვანილი არ იქმნა. ხალხს დაშლა გამოუცხადეს და, 1 საათზე, გამგეობის ეზოში, კრებაზე მიიწვიეს.

დანიშნულ დროზე დიდძალი ხალხი მოგროვდა და კრება დაიწყო, რომელსაც კაზაკთა თავდასხმისაგან წითელი რაზმელები იცავდნენ. ამ კრებაზე ილაპარაკა ახალგაზრდა ოფიცერმაც, რომლის გრძნობით სავსე სიტყვებს ხალხი აღტაცებით მიეგება. მიტინგმა მიიღო სოციალდემოკრატების მიერ წარმოდგენილი რეზოლუცია, რომელიც, საგანგებო არჩეულ დეპუტაციის ხელით, გაუგზავნა გუბერნატორს. ამ უკანასკნელს ხალხმა თავის რეზოლუციაში აცნობა რომ: 1) სამი დღის განმავლობაში თუ კაზაკებს არ გაიყვანთ ქალაქიდან, მაშინ ჩვენ თავს ნებას ვაძლევთ, როგორც გვსურს, ისე ვიმოქმედოთ და დაე, თქვენ, ადგილობრივი მმართველები იყავით პასუხის მგებელი რუსეთის ხალხის წინაშეო. 2) დღეიდან არც ერთი შეიარაღებული კაზაკი არ ვნახოთ ქუჩაში, თორემ მათ მოვეპყრობით ისე, როგორც სისხლის მსმელ მხეცებსო და 3) [illegible] ხალხის დამცველ მილიციის შეუიარაღებლადო. ამასთან მიტინგმა დაადგინა [illegible] განზრახვის სისრულეში მოყვანა, ე. ი. დახოცილთა გვამების ქალაქში გამოტანა. ხალხი დაიშალა.

მიტინგის რეზოლუციის მიღების შემდეგ იმავე 29 ნოემბ., ღამე, მოხდა სამხედრო რჩევა, რაზედაც უმრავლესობის ხმით გადაწყდა კაზაკების ქალაქიდან გაყვანა და ამის საშუამდგომლოდ იმ ღამესვე წავიდნენ ქალაქს ანდრონიკაშვილი, შტაბის უფროსი მდივანი და ინჟენერ პოლკოვნიკი პომირსკი ტფილისში ნამესტნიკთან.

მეორე დღეს, 30 ნოემბერს, ხალხი კვლავ დაიძრა საავადმყოფოსკენ, მაგრამ ამჟამად მას ახლდა ერთი სამად და ერთი-ოთხად მეტი შეიარაღებული მილიციონერები. საავადმყოფოებში დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. იქნებოდა დილის 9 საათი, რომ გაისმა ხმა: ვინც იარაღიანი ხართ, წინ წამოდექით, კაზაკები მოდიანო. საშინელი წამი დადგა. ხალხი აღელდა. წითელი რაზმელები და ყველა შეიარაღებულები ქუჩაში გამოვიდნენ. რამოდენიმე მათგანი საავადმყოფოს იმრგვლივ ჩაესაფრნენ და დასახვედრად მოემზადნენ. თოფის ხმა და ტყვიების ზუზუნიც მოისმა. წითელი რაზმის მოწყალების დანი და ძმანი, სასანიტარო ეტლი წითელის ჯვრის ნიშნებით და თეთრი ბაირაღები ქუჩაში გამოეფინა. ცოტა ხნის შემდეგ, ხალხი დაშოშმინდა და საავადმყოფოს ეზოში ერთ ადგილს მოგროვდა. ორატორები ავიდნენ სიმაღლეზე და რუსულ, ქართულ და სომხურ ენებზე ხალხს ამცნეს, რომ საქმის ასეთი შებრუნებისა გამო დაშლილიყო და წყნარად სამ სამი და ოთხ-ოთხი წასულიყვნენ შინ. გვამების გამოსვენება ქუჩებში აღარ მოხდება და დამარხვის დროას გაცნობებთო. ხალხი დაიშალა და წამოვიდა.

ქალაქში საშინელი ამბავი მომხდარიყო. კაზაკებს თავიანთი კაზარმების სიახლოვეს თოფის სროლა აუტეხიათ. სულ 1—2 საათის განმავლობაში ქალაქის ქუჩებში ხალხმა ბარიკადები ააგო. რაც მოხვდა მას ხელზე,—შეშა, ბეტონი, ფიცრები, ხეები, ურმები, დროგები, ბოჩკები და ყველაფერი—ამისთვის გამოიყენა. დასჭრა უზარმაზარი ხეები, ტელეგრაფის, ტელეფონის და ელექტრონის ბოძები, მავთულები და სხვ... აგებულ ბარიკადებზე შეიარაღებული ხალხი გამაგრდა, საუკეთესო სიმაგრეები და პოზიციები ქალაქში მან დაიჭირა. თავს დაესხა რკინის გზის სადგურს, საპოლიციო კანცელარიას და განყოფილებებს, კერძო სახლებს, [illegible] და სასამართლო დაწესებულებათ და, სადაც კი მოიძევებოდა, იარაღი დაიტაცა. აჰყარა იარაღი ჟანდარმებს, პოლიციელებს და სხვა... ამრიგად გაძლიერებული მებრძოლნი, ბარიკადებსა და პოზიციებზე გამაგრებულნი, ელოდენ კაზაკებისაგან თავდასხმას და სალდათებისაგან დახმარებას. მაგრამ სულ წინააღმდეგი კი მოხდა.

კაზაკთა პირველი ასეულის დეპუტატები მივიდნენ რ. ს.-დ. მ. პ. ორგანიზაციასთან და განაცხადეს, რომ ჩვენი ასეულიდან არც არავის დაუხოცია ვინმე და არც აწი გამოვალთ ხალხის ასაკლებად და ვინც ბოროტებას ჩაიდენს იმათ ვეცემით და გადმოგცემთო, ხოლო ჩვენ შეგვიბრალეთ, შედით ჩვენს მდგომარეობაში და ცხენებს ნუ დაგვიხოცავთ სიმშილით. მათი საკვები მაინც მოაყიდვინეთ ვისმეო. ამავე დროს მარინის პროსპექტიდან და მიხეილის ქუჩიდან გაისმა თოფების და ყუმბარის გრიალი. ოფიცრის ბრძანებით, სალდათებს ბარიკადის მშენებელთათვის დაეშინათ ტყვიები და დაეხოცათ და დაეჭრათ ათიდე კაცი, უმთავრესად კი 13—14 წლის

ფელეტონი

ინტერნაციონალი

(თარგმანი)

აღსდექ, ამხედრდი, ტანჯულო ხალხო,
ედით წყეულო, ტყვევ სიმშილისა!
ძლოთავს გონება, წუთია ახლო,
ჰა, გვეძახის ველი ბრძოლისა!
ქვეყანა კრული, ცრემლების ბუდე,
საძირკვლიანად გადავანგრიოთ,
შევქმნათ ახალი, ახალი ზღუდე,
და ყველაფერი ჩვენ მოვიპოვოთ!

—

უკანასკნელი ბრძოლა იქნება
და ხალხის ბედიც მით გადასწყდება,
საერთაშორო ძმობა—კავშირით
კაცობრიობა აგვიყვავდება!

—

ნუ ენდობით ცას, ცეზარსა და ღმერთს,
არ დაგვიხსნიან, არც გვაქვს იმედი,
ძმებო, ხელი მივცეთ ერთმანეთს,
თვით გამოვჭედოთ ჩვენ ჩვენი ბედი!
თუ გვსურს, რომ ქურდმა თავისი კისერი
შიშით, კანკალით გამოგვიწოდოს,
ავანთოთ ქურა, ვიდრე ცხელია,
დაჭკარით რკინას, რომ გამოიწრთოს!

—

უკანასკნელი ბრძოლა იქნება
და ხალხის ბედიც მით გადასწყდება,
საერთაშორო ძმობა—კავშირით
კაცობრიობა აგვიყვავდება!

—

სახელმწიფო ჩვენ გვიკრავს ხელ-ფეხსა,
[illegible] უკუღმართია,
[illegible] მდიდრები დარბიან მკერდსა,
ჩვენი უფლებაც მხოლოდ ხლართია!
ხარჯი აწუხებს მხოლოდ ღარიბ ხალხს,
აბა, სად არი თანასწორობა?
ერთგვარი უნდა კანონი ყველას,—
ამას თხოულობს ძმობა—ერთობა!

—

უკანასკნელი ბრძოლა იქნება
და ხალხის ბედიც მით გადასწყდება,
საერთაშორი ძმობა—კავშირით
კაცობრიობა აგვიყვავდება!

—

ოქროს ქურუმნი, ქარხნის პატრონნი
რა ოფლსა ღვრიან, რას აკეთებენ?
ზანტნი, ზარმაცნი, უსინდისონი
ჩვენს ნაშრომ-ნაღვაწს თვისკენ იგრებენ!
მოკვდი მშიერი, მოკვდი სიცივით,—
რა ენაღვლება იმათ მხეც გულსა!?
თავს ვერ ვუშველით ცრემლით, ტირილით,—
აწ დგება წუთი, ვიძიებთ შურსა!

—

უკანასკნელი ბრძოლა იქნება,
და ხალხის ბედიც მით გადასწყდება
საერთაშორო ძმობა—კავშირით
კაცობრიობა აგვიყვავდება!

—

მუშებო, გლეხნო, ჩვენ [illegible] მხოლოდ
ჯარი შრომისა, ძლიერი ჯარი;
დავკრათ ჩაქუჩი ჩვენ საბოლოოდ,—
მიწაა მუშის, ის ჩვენი არი!
მოვსპოთ მდიდრები, მთლად აბარგნენ,
ყორანთ ჩხავილი რომ არ ისმოდეს,
გარწმუნებთ, მთლად რო გადაიკარგნენ,
მზე მაინც ისევ მუდამ იბრწყინებს.

—

უკანასკნელი ბრძოლა იქნება
და ხალხის ბედიც აქ გადასწყდება,
საერთაშორო ძმობა—კავშირით
კაცობრიობა აგვიყვავდება!

ი. ევდოშვილი.

ამხანაგებო!

სხივ-ფერადი
განთიადი,
თვით კაშკაშა-მოელვარე,
ვით დროშა [illegible]
გულ-წარმტაცი
სხივებს აფრქვევს შემოგარე,—
იწვევს გმირებს,
შენაპირებს,
რომ მოიცვან არე-მარე!..

—

ტოკავს გული,
ზღვად-ქცეული,
ტალღა ნაპრალს ეხეთქება;
ცეცხლს იგიდებს,—
ზვირთი ზვირთებს
მოაგორებს, წინ-წინ დგება,
ქაფ-მოდებით,
ქვა-ლოდებით
ნაპირებს ჰგლეჯს, რაც შეხვდება!..

—

მოგუგუნემ,
აღარ მდუნემ
დღეს ცხოვრებამ აგვხსნა რიდე,
და მის მედგარ,
შეუპოვარ
ბობოქრობის გადამკიდე
კერპთ სადგური,
საფეხური—
მთლად შეინგრა კიდით-კიდე!..

—

მტარვალთ გულ-მზარს
აღდგომის ზარს
დღეს ბანს აძლევს ზღვა და ხმელი!..
მაშ, ვიყოთ მზად!—
ასპარეზად
ფართო არის ბრძოლის ველი,
და თანხმობით,
კერპთა-მხობით
მო, ერთმანეთს მივცეთ ხელი!..

—

უთანხმოება,
პირადობა
მტერს ახარებს,—არ გვარგია!..
მხოლოდ მეტ
მიწამეთ—
ეგ რა ხალხის ამაგია?..
ცალთ წამება—
მხოლოდ ვნება,
ღალატი და ხაფანგია!..

—

სხივ-ფერადი
განთიადი,
მოელვარე, თვალ-ჟუჟუნა,
დროშად ხელში,
მრავლის მქმნელში,
თვით ცხოვრებამ დღეს გვარგუნა,
რომ საერთოდ
ქვესკნელს შევრთოთ
სულთ-მხუთავი მაჯლაჯუნა!..

დ. თომაშვილი.

დღიური

ვიტტეს მთავრობა.—ურწმუნოთ თვალი აეხილა.—წაუხდა ნახტომი.—შეერთება ბრძოლის წინ.—ხალხს მტრები ჩამოაშორეთ.—ძალა ერთობას შეიქმს!

ვიტტეს მთავრობა, რომელიც ლიბერალ სიტყვებით ცდილობდა საზოგადოების დაბრმავებას და სარევოლუციო მოძრაობის ჩაქრობას, ახლა ნიღაბ ახდილი სდგას ხალხის წინაშე და ხალხიც მას წყევლას უგზავნის, სამარცხვინო ბოძზე აკრავს და, სულ მუდამ დაპირებულ რეფორმების მოლოდინით მობეზრებული, პირდაპირ, აშკარა ბრძოლას იწყებს მის დასამხობად და ძველის ნანგრევებზე ახალ წესწყობილების დასამყარებლად.

რუსეთის სხვადასხვა კუთხეში ერთი და იგივე სიტყვა გაისმა: ბრძოლა, ბრძოლა თავისუფლების მოსაპოვებლად! დიდი და პატარა, მდიდარი და ღარიბი, შინაური და გარეშე, ყველა, ვისაც სული ეხუთებოდა თვითმპყრობელ რეჟიმისაგან, ყველა, ვინც მიესწრაფვის უკეთეს მომავლისაკენ,—ერთხმად ითხოვენ აშკარა მოქმედებას, რადგანაც ყველა ხედავს, რომ უბრძოლველად არავითარ უფლების მოპოვება არ შეიძლება, ყველამ იცის, რომ თავის ნებით არ გადადგებოდნენ ის ბობოლები, რომელნიც ასი ათასობით იტაცებენ ხალხის ნაოფლარს და ხალხს, მინისტრების, გუბერნატორების და სხვადასხვა გამგეების სახელით, კისერზე აზიან ხალხისავე დასამონებლად...

კიდევ იყვნენ აქა-იქ ურწმუნონი, რომელნიც ირწმუნებოდნენ, ვიტტეზე გულს ნუ გავიტეხავთ, ვიტტეს გულწრფელად სურს რეფორმების შემოღება, მაგრამ გარემოება ხელს არ უწყობს და მას ყველა რეფორმის შემოღება ერთბაშად არ შეიძლებაო, მაგრამ თვით ვიტტე და მისი ხელქვეითები ან ამხანაგები, თავიანთ მოქმედებით, ამ ურწმუნოთაც თვალი აუხილეს და დაანახვეს, რომ არავითარი მინისტრი და ძველ რეჟიმის წარმომადგენლისაგან დაყენებული არც ერთი მოხელე თვითმპყრობელობის პრინციპს არ უღალატებს და ხალხის გაბატონებას არ მოისურვებს.

ვიტტეს დროს იყო, რომ რუსეთის 66 ქალაქში საზოგადოების ნაძირალთაგან შემდგარი ბრბო, ხელმწიფის სურათით ხელში, „ბოჟე ცარია ხრანის" სიმღერით და ჯარის მფარველობის ქვეშ ჟლეტავდა ებრაელებს და მათ ქონებას იტაცებდა, მათ სახლებს ანადგურებდა...

ვიტტეს დროს იყო 17 ოქტომბრივ თითქმის მეორე დღესვე რუსეთის ზოგიერთ გუბერნიებში გენერლების გაგზავნა ხალხში მოძრაობის მოსასპობად, ამ გენერლებისგან ხალხის გაროზგვა, სოფლად ეკზეკუციების ჩაყენება და მცირეოდენ უფლებების მოსპობაც, რომელიც რუსის ხალხს წინედ ჰქონდა მინიჭებული.

ვიტტეს დროს იყო რუსეთის სხვადასხვა კუთხეში, გაძლიერებულ და სამხედრო წესების შემოღება და ამით 17 ოქტომბერს გამოცემულ მანიფესტის დარღვევა.

ვიტტეს დროს იყო რუსეთში კაზაკების გაბატონება, ტრეპოვის თარეში, აქ, ტფილისში, 22 ოქტომბრის სავმირო საქმეებისათვის კადეტ-იუნკრების ქება და შავ ძალების დარაზმვა. ვიტტემ მოუწოდა საზოგადოების ნაძირალთ, რომ ისინი „რუს პატრიოტების" სახელით გამოსულიყვნენ მთავრობის დამცველად, მან შეჰქმნა ახალი სამთა კავშირი კაზაკებთან და ხულიგნებთან...

მან თავის ჯიუტობით გამოიწვია ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა გაფიცვა, მან დაატუსაღა მუშათა წარმომადგენელი ხრუსტალიოვი პეტერბურგში, გლეხთა კავშირის წევრები მოსკოვში, მან ბრძანა „ურმ" ჯარის-კაცების

მეგაზეთე ბიჭები. ასეთის გმირობით წაქეზებული ოფიცერი და სალდათები, რომ მოიწევდენ წინ ჯგუფად, ზემო სართულზე ჩასაფრებულმა, ვიღაც უცნობმა პირმა ესროლა მათ ყუმბარა, რომლითაც ისინი მძიმედ დაიჭრნენ.

წითელი რაზმის სანიტარებს ახლა სამხედრო სანიტარებიც მიემატნენ.

საღამოს მიწყნარდა. შეიარაღებული ხალხი მოშორდა ბარიკადებს. გაფიცვა აიხსნა და სავაჭრო და სხვა დაწესებულებანი გაიღო. ბარიკადები თვით ხალხმა დაშალა და მებრძოლნიც აღარსად ჩანდნენ. ხალხმა ტაქტიკა შესცვალა, მაგრამ დაწყნარებულ ქუჩებზე მთავრობამ გამოიტანა ზარბაზნები, გამოიყვანა ჯარი და კაზაკები და ხალხს საომრად იწვევდა. რადგან მოპირდაპირე არ სჩანდა და პასუხს არ აძლევდა, კაზაკები მიესივნენ სახლებს, დაიწყეს აკლება-განადგურება და აწიოკება. სჩხრეკდნენ ყველაფერს და ეძებდნენ იარაღს. დაეცნენ ქალაქის გამგეობას, დალეწეს ყველაფერი, ნაკუწ-ნაკუწად აქციეს საქმის ქაღალდები, გაიტაცეს საწერკალამი, ქაღალდ-კონვერტები და ჩაი-შაქარი. ვერაფერი მოუხერხეს მხოლოდ კასსას, რომელშიაც გადამწვარ გურულთა სასარგებლოდ შემოსული ათასიოდე მანეთის მეტი ფული არც კი ყოფილა. თავს დაესხნენ ფეფელოვის სახლს და წაიღეს ოციოდე თოფი მილიციონერებისა. მილეწ-მოლეწეს და გაანადგურეს ამბაკო გოთანიას ბინა, გაძარცვეს ხე-ტყის საწყობის პატრონი მეგრელიძე, რომელსაც წაართვეს 312 მ. ფული, ოქროს საათი, ტანისამოსი და სხვ... თავს დაესხნენ „ჩერნ. ვესტ."-ს რედაქციას და მის სტამბას, სადაც ყველაფერი გაანადგურეს და ასვარ-დასვარეს, გაჩხრიკეს საავადმყოფო, სადაც ავადმყოფებს 13—14 გირვანქა შაქარიც კი წაართვეს. ტანისამოსი ქამარი და საათი ხომ აღარავის შეარჩინეს. გაძარცვეს ბევრი კერძო სახლი, საიდანაც ქალის კაბები და იუბკებიც კი წაიღეს. ყველა ეს საზიზღრობა აფიცრების ხელმძღვანელობით ხდებოდა. ამ საღამოსვე იმსხვერპლეს რამდენიმე ადამიანი. სხვათა შორის, მძიმედ დასჭრეს წითელი რაზმის მოწყალების და, მიუხედავად იმისა, რომ, მას წითელი ჯვრის ნიშანი ჰქონდა.

ზარბაზნების ქუჩაზე გამოტანამ და მცხოვრებთა ასეთმა ბარბაროსულმა განუკითხავად დარბევამ მთელი ქალაქი ააღელვა და სასოწარკვეთილებაში ჩააგდო. სპარსელებმა დასცალეს ბინები და თავიანთი ბარგი-ბარხანით მიაშურეს კონსულს. ოსმალეთის ქვეშევრდომებიც ვერ გადარჩნენ ძარცვა-რბევას და ან ვინ არის უზრუნველყოფილი, გარდა აფიცრებისა და ხულიგანებისა. ამიტომ ამ განმეორებამ გამოიწვია უცხო სახელმწიფოთა კონსულების კოლექტიური სხდომა და მოლაპარაკება. მათ მოაგონეს აქაურ ტვინგატეხილ მმართველებს, რომ ჩვენ ღონისძიებას მივიღებთ, რომ ჩვენის ქვეშევრდომების დასაცველად თქვენს თარეშობას ლაგამი ამოვსდოთო.

3 დეკემბერს, დღისით, მოჰკლეს 2 კაცი; ღამე გაძარცვეს შვიდი-რვა მაღაზია სასმელებისა და სხვადასხვა საქონლისა. 28 ნოემბრიდან 4 დეკემბრამდე დახოცილია ხალხის მხრივ 17, ხოლო 4 მძიმედ დაჭრილია და 28 ნოემბერს უკვალოდ დაკარგულია 7. აქედან გასულ-შემოსულ მატარებლებს ორ-სამ ალაგას სჩხრეკენ. თავზარ დაცემული ხალხი ქალაქიდან იხიზნება. ბათომი განსაცდელშია.

2 დეკემბერს დეპუტაცია ტფილისიდან ჩამოვიდა და აცნობეს ნამესტნიკის ბრძანება კაზაკების გაყვანის შესახებ კომენდანტს, მაგრამ ეს უკანასკნელი უარზეა, აქაურ კაზაკებს ართვინიდან ჩამოსული პლასტუნები მოემატა, რომელნიც კვლავ დააფიცეს ერთგულებაზე და არყით გამოათვრეს. და ამრიგად შეზარხოშებულებს ასრულებინებენ მინდობილებას. ამ ორ დღეში აქვე ელიან ოზურგეთიდან გამოსულ პლასტუნებს და მერე რა მოხდება, ადვილი წარმოსადგენია.

ბლ. გული.

ძირ გამოთხრილ ტახტის გასამაგრებლად მან მოინდომა სამხედრო დიქტატურის დამყარება და მთელ რუსეთში ყოველივე კანონიერებისა და პოლიტიკურ უფლებების მოსპობა.

მაგრამ წაუხდა ნახტომი და მოთმინებიდან გამოსული ხალხი მას და მის მთავრობას ახლა პირდაპირ ბრძოლას უცხადებს! ან სიკვდილი ან გამარჯვება! ეს სიტყვები აწერია ამ ჟამად დროშას, რომელიც ყველა მებრძოლ პარტიას მაღლიდ ამართული აქვს. სიკვდილი მტარვალთ! სიკვდილი მათ, ვინც წინ ეღობება ხალხის განთავისუფლებას! სიკვდილი იმათ, ვინც ხორცმეტად აზის სახელმწიფო სხეულს და ხალხს სისხლს სწოვს თავის საკუთარ ბატონობისთვის!..

რუსეთში ყველა სარევოლუციო პარტია შეერთდა, რომ უკანასკნელ ბრძოლაში შეერთებულის ძალით მიიტანონ იერიში ძველი რეჟიმის მომხრე წრეებზე დაამკვიდრონ ხალხის თავისუფლება.

ბრძოლა მხოლოდ სატახტო ქალაქებში როდი იქმნება. რკინის გზებისა და ტელეგრაფის გაფიცვამ რუსეთი ახლა პატარ-პატარა ნაწილებად დაჰყო, ყოველი ნაწილი თავის ანაბარად არის დატოვებული, ყოველივეში ორი მოპირდაპირე ძალაა დარჩენილი რომელიც ემზადება ბრძოლისთვის... იქ, სადაც ძველი რეჟიმის წარმომადგენელი წრეები ძლიერი არის, მათი მოწინააღმდეგე წრეები უნდა შეერთდნენ თუ უნდათ, რომ ამ შეერთებით მეტი ძალა მოიხვეჭონ და არ დამარცხდნენ.

ბოროტ მოქმედი, ხალხის მტერია ამნაირ დროში ის ადამიანი, რომელიც ხალხის ძალთა დაქსაქსვას ინდომებს, რომელიც ბრძოლის ველზე თავის გაბატონებაზე ლაპარაკს მოჰყვება ან გულზვიადათ განაცხადებს უარს შეერთებაზე და იტყვის, მე თვითონ შესწევს საკმარისი ძალ-ღონე იმისთვის, რომ მტერზე გავიმარჯვო.

ამას პარტიის მეთაურთა პირადი თავმოყვარეობა თუ ათქმევინებს მათ, მაგრამ პარტია განა მხოლოდ მეთაურთაგან შესდგება. ყველა თუ გრძნობს, რომ შეერთება ძალას მოუმატებს და რომ იგი ამიტომ სასურველია, განა პარტიის მეთაურს აქვს რამე უფლება პარტიის წევრთა სურვილს წინ აღუდგეს და თავის ნებით ხიფათში ჩააგდოს ის საქმე, რომელსაც სიცოცხლესაც სწირავენ ხშირად ეს წევრები და არა მეთაურები.

ძალთა დაქსაქსვა მებრძოლ ხალხის ძლიერებას ასუსტებს,—ამას ბათუმის მაგალითიც ამტკიცებს, სადაც. ამბობენ, ბოლომდის ვერ მოხერხდა პარტიების შეკავშირება და სადაც პარტიის მეთაურები სამშვიდობოში გადარჩნენ, როდესაც ხალხის მხრივ არა ერთი ადამიანი იმსხვერპლა კაზაკის ტყვიამ.

ხალხის სურვილია საერთო მოქმედება საერთო მტრის საწინააღმდეგოდ, ხალხის მტერია ის, ვინც ამ დროს პარტიების დაქსაქსვას ეცდება, იგი ხალხს ასუსტებს ამით და როგორც ხალხის სხვა რომელიმე მტერის ჩამოშორება არ არის დასაძრახისი, ისე დასაძრახისი არ იქნება იმათი „ჩამოშორება", ვინც დღეს იტყვის,—შენთან ს ერთი არაფერი არა მაქვს, ჩემი ძალღონით მოვაწყობ საქმესო!

ხალხის მოყვარეთა მარჯვენა არ აკანკალებულა, როდესაც სხვაგვ რომელიმე მტარვალს ან ხალხის რომელიმე მტერს „ჩამოაშორებდა" მისი მარჯვენა არ აკანკალდება თუ დასჭირდა ამ ახალ მტრების, პარტიების გამოთიშვით ხალხის ძალთა დამასუსტებლების „ჩამოშორება".

ვისურვოთ, სამი ასეთი ხალხის მტერი, ხალხის ძალთა დამქსაქსველი ბრძოლის დროს აღარ გამოჩნდეს, რომ ხალხის მოყვარეთ არ დასჭირდეს მათი „ჩამოშორება"...

ძალა ერთობაშია და ვინც ერთობას არღვევს, ვინც დღეს „მეო-მეოეს" ძახილით გამოდის ხალხში, იმას მოელის „ჩამოშორება".

ერთობამ თუ არ შექმნა ძალა, ძალა შექმნის ერთობას!..

ვარ. ფ—ი.

უბედურ შემთხვევებში დამხმარეთა კავშირი

ტფილისს დიდი უბედურება დაატყდა თავს. ამ უბედურებამ ბევრი უმანკო ადამიანი იმსხვერპლა და, შეიძლება, კიდევ იმსხვერპლოს. ამიტომ ზოგიერთებმა განვიზრახეთ დავაარსოთ კავშირი იმ უანგარო და თავდადებულ პირთა, რომლებიც მოისურვებენ პირველი დახმარება აღმოუჩინონ უბედურ შემთხვევის მსხვერპლთ.

29 აგვისტოს, 22 ოქტომბრისა და თათარ-სომეხთა შორის მომხთარ სისხლის ღვრის ამბებისა გამო, ტფილისში გამოჩნდა ბევრი გულის შემატკივარი, რომელთაც არამც თუ შრომა თვით სიცოცხლეც კი არ დაიშურეს გაჭირვებულთა დასახმარებლად. ყველა მომქმედმა პარტიებმა მსწრაფლად დააარსეს სასანიტარო რაზმები; ამ მგვარივე რაზმები დაარსდა კერძო კაცთა თაოსნობით, ფერშალთა და ექიმთა დახმარებით. რამდენიმე ადგილას აღნიშნეს დაჭრილთა შესახვევი პუნქტები და ყოველ საშუალებასა ხმარობდნენ, რომ უბედურების მსხვერპლთათვის მწუხარება შეემსუბუქებინათ, მაგრამ, რადგან ეს რაზმები ცალკ-ცალკე მოქმედებდნენ, იმდენი სარგებლობა ვერ მოიტანეს, რამდენის მოტანაც შეეძლოთ, მეცნიერულად განსწავლილისა და გამოცდილის კაცების ხელმძღვანელობით რომ ემოქმედნათ.

ამიტომ ყველა საზოგადოებრივ ძალთა და საშუალებათა შესაერთებლად განვიზრახეთ დავაარსოთ კავშირი. ამ კავშირის დასაარსებლად ქალაქის გამგეობაში ორი საზოგადო კრება იყო დანიშნული 2-სა და 4 დეკემბერს. პირველ კრებაზე შემუშავებულ იქმნა საზოგადო დებულებანი კავშირის ორგანიზაციისა, ხოლო სამკურნალთ ნაწილის დაწვრილებითი შემუშავება კი დაევალა ქ. ტფილისის ექიმ-დოსტაქრებს.

დოსტაქარ-ექიმებისაგან სამს დეკემბერს შემუშავებული პროგრამა მოჰხსენდა კავშირის მეორე საზოგადო კრებას. 5 დეკემბერს დაინიშნა განმეორებითი კრება დოსტაქარ-ექიმებისა, რომელზედაც მოწვეულ იქმნა ორგანიზაციათა და ექიმთა წარმომადგენელნი. ამ კრებაზე შემუშავებულ იქმნა შემდეგი გეგმა:

1. დაარსებულ იქმნას საზოგადო კავშირი, რომელშიაც შევლენ სასანიტარო რაზმები და პუნქტები, რომლებიც უნდა დაარსდეს ექიმებისა, ორგანიზაციებისა თუ კერძო პირთა თაოსნობით.

2. კავშირის საქმეთა გამგედ შედგეს საბჭო:

ა. კავშირის ორგანიზაციის მოთავეთაგან (ექიმები: მასკევიჩი, სობოლევსკი, სტეფანოვი, ივანოვი და ხალათოვი).

ბ. სასანიტარო რაზმების გამგე ექიმთაგან.

გ. სადოსტაქრო და მიხაილოვის საავადმყოფოების ექიმთაგან (თითო საავადმყოფოდან ორ-ორი კაცი).

დ. ქალაქის სასანიტარო განყოფილების ორ ექიმისაგან.

ე. ყველა პოლიტიკურ ორგანიზაციათაგან თითო კაცი:

ვ. სასანიტარო რაზმებისაგან ათი წარმომადგენელი;

ზ. ორი წარმომადგენელი მაჰმადიანთაგან (სასურველია სტუდენტები).

საბჭო ირჩევს თავის შორის ბიუროს, რომელიც შესდგება შვიდის კაცისაგან; ბიუროს ევალება სისრულეში მოიყვანოს საბჭოს დადგენილებანი.

რადგანაც შემწეობის აღმოსაჩენად საჭიროა საავადმყოფო, ქალაქს კი ეს არ მოეძებნება (მიხაილოვის სამკურნალოში ადგილი აღარ არის), ამისთვის ეთხოვოს ქალაქის გამგეობას, გახსნას სადოსტაქრო სამკურნალო 50 კაცისათვის.

გადადებულ იქმნას საავადმყოფოს მოსაწყობად ერთდროებით 5,000 მან., ხოლო საავადმყოფოს შესანახად—ყოველთვიურად 1,500 მან. და უფასო ბინა.

3. მოეწყოს 6 სანიტარული რაზმი, რომელსაც უნდა უფროსობდეს ექიმი—ქირურგი (რაზმების რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს ექვსს, რათა უფრო შესაძლებელ იქმნას ძალთა შეერთება).

სასანიტარო რაზმებში უნდა ითვლებოდნენ ერთი ექიმი-ქირურგი, რაზმის გამგე, რამდენიმე თანაშემწე ექიმი და სანიტართა საჭირო რიცხვი (ფერშლები, ბებია-ქალები, მოწყალების დები და სხვები, რომელთაც სასანიტარო მომზადება აქვთ).

სასანიტარო რაზმებში წეს-რიგის შემოღება, მორიგეობა ჭრილობათა შესახვევ პუნქტებზე და სხვ. შეადგენს თვით რაზმის საქმეს. ექიმებმა და იმათ, ვისაც სასანიტარო მომზადება და სურვილი აქვთ რაზმში სამსახურისა, განცხადება უნდა შემოიტანონ კავშირის ბიუროში. ამათ ამორჩევასა და რაზმებში დაგზავნას აწარმოებს თვითონ ბიურო. ხსენებულ რაზმების მოსაწყობად ეთხოვოს ქალაქის გამგეობას 1000 მან. კრედიტი.

4. საჭიროების მიხედვით სხვადასხვა ნაწილებში გაიხსნას ჭრილობათა შესახვევი პუნქტები; ამ პუნქტების რიცხვი განსაზღვრულია. ეს პუნქტები განაწილებულ უნდა იქმნას სასანიტარო რაზმთა შორის. პუნქტების დაარსება და მათი მართვა-გამგეობა ეკუთვნის რაზმებს. რადგანაც ჭრილობათა მოსარჩენად აუცილებლად საჭიროა სისუფთავე, ამიტომ საჭიროა დაჭრილების დაუყოვნებლივ საავადმყოფოებში წაყვანა. სასანიტარო პუნქტები სამკურნალოს მაგივრობას ვერ გასწევენ. ამ პუნქტებზე უნდა იყოს მხოლოდ საკაცეები და შესახვევი მასალა.

5. კავშირის საშუალებას შეადგენს:
ა) დახმარება ქალაქის გამგეობისაგან;
ბ) პოლიტიკურ და საზოგ. ორგანიზაციათაგან.
გ) შემოწირულებანი ფულით თუ ნივთებით.

კავშირი სთხოვს:

1. ექიმებს, ფერშლებს, ბებია-ქალებს, მოწყალების დებსა და იმათ, ვისაც სასანიტარო მომზადება და რაზმში სამსახურის სურვილი აქვთ, განცხადება შემოიტანონ კავშირის ბიუროში (გვარები გამოცხადებულ იქმნება);

2. მიაწოდონ ბიუროს არსებულ პუნქტების შესახებ ცნობები გაზეთებში გამოსაცხადებლად;

3. შემოწირულებანი გამოგზავნონ კავშირის ბიუროში (ქალაქის გამგეობა, ყოველ დღე 12—3 საათამდე).

სასანიტარო რაზმელებს ექნებათ განსაკუთრებული ნიშნები და პიროვნების აღმნიშვნელი ფურცლები.

რუსეთი

ფოსტა-ტელეგრაფის გაფიცვა. რუსეთის ფოსტა-ტელეგრაფის გაფიცულ მოხელეებს საფრანგეთის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეებმა თანაგრძნობა გამოუცხადეს, ერთმანეთში 60,000 ფრანკი შეაგროვეს და გაფიცულებს გამოუგზავნეს, მაგრამ რუსეთის მთავრობამ ეს ფული დაიჭირა და ხაზინას გადასცა. ბიუროკრატია მშიერ მგელივით დაძრწის და აღარც პირდაპირ ძარცვა-გლეჯასა და ავაზაკობას ერიდება.

◆ უკანასკნელ საერთაშორისო საფოსტო-სატელეგრაფო კონვენციის ძალით, რუსეთმა დღეში 3—5 მილიონი მ. უნდა გადაიხადოს ფოსტა-ტელეგრაფის შეჩერების გამო. გამოიანგარიშეთ, რამდენი დაუჯდება რუსეთის ისედაც ლატაკ ხალხს ვიღაც სატრაპის დურნოვოსი და ვიტტეს დაჟინება.

◆ **ჯარი ღელავს.** 16 ნოემბერს ეკატერინოდარში სათადარიგო ბატალიონი აჯანყდა, აფიცრები გადააყენა და მათს მაგივრად თავიანთებიდან ამოირჩია უფროსები. სალდათებმა ბატალიონის უფროსს დეპუტაცია გაუგზავნეს და დროშა მოსთხოვეს; უფროსმა უარი უთხრა, მაგრამ, რა დაინახა, რომ იმის სახლს ორასი შეიარაღებული სალდათი შემოეხვია, დაუთმო და, დროშა გაატანა. სალდათებმა დროშა შტაბში გადაიტანეს და დარაჯები მიუყენეს, ამის შემდეგ სალდათებმა მთელი არსენალი დაიჭირეს და რაც მთელ ქალაქში პატრონები იყო (კაზაკებისა და სალდათებისა)—მიითვისეს. კაზაკები უპატრონებოდ დარჩნენ. აჯანყებულებმა არსენალს 25 კაცი დაუყენეს დარაჯად. მერე კაზაკთა არტილერიაც დააპატიმრეს. ქალაქში სალდათები დადიოდნენ, წეს-რიგს იცავდნენ და ხულიგანებს სასტიკად სჯიდნენ. მესამე დღეს კავკაზსკაიას სადგურში დეპუტაცია გაგზავნეს და ეკატერინოდარისკენ მომავალ კაზაკებს შეუთვალეს, უკანვე გაბრუნდით, თორემ ცუდი დღე დაგადგებათო. კაზაკები უკანვე წავიდნენ. წეს-რიგი არსად დარღვეულა. ეხლა აფიცრების მაგივრად სალდათები არიან და ყოველნაირ მოვალეობას თვითონვე ასრულებენ.

◆ გაზეთი „მატენი" იუწყება: **მანჯურიაში საშინელი ამბები ხდება.** დისციპლინა გაქრა. ყოველ დღე აჯანყება და ბრძოლა ხდება. ლინევიჩი ცუდ დღეში ჩავარდა.

◆ **ემზადებიან.** „ბერლინერ ტაგებლატ"-ის პეტერბურგელი კორესპონდენტი იუწყება: სრულიად-რუსეთის საერთო გაფიცვა 1906 წ. 9 იანვრისთვის მზადდება. ბევრი ვეცადე გამეგო, თუ რას აპირობს მთავრობა მომავალ სამოქალაქო ომის თავიდან ასაცდენად, მაგრამ მხოლოდ ის გავიგე, რომ რუსეთის ბიუროკრატიას ეს აინუშიაც არ მოსდის. ის მხოლოდ იმასა ცდილობს, რომ ხელმწიფე და მისი სასახლე დაიცვას. ტრეპოვი დიდ ფაციფუცშია და ცარსკოე სელოს ამაგრებს. გვარდიის პოლკებს ცხრილში ატარებს და მხოლოდ საიმედო სალდათებს სტოვებს. ვნახოთ!

◆ **მირბიან.** კიევიდან „რუს. სლ."-ს ატყობინებენ: „ქალაქი სამარეს დაემსგავსა. გაზეთები არ გამოდის, სხვა ქალაქებიდან მოსულ გაზეთებს მთავრობა იჭერს. ვისაც შეძლება აქვს—საზღვარ გარედ გარბის; ვისაც არა—ახლო-მახლო ქალაქებსა და სოფლებს აფარებს თავს.

◆ როგორც ამბობენ, პოლიციამ მუშათა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარეს ხრუსტალიოვს უპოვა ისეთი ქაღალდები, საიდანაც სჩანს, რომ მას ერთ დღეს, მოულოდნელად, გრაფ ვიტტესი, მინისტრებისა და ყველა დიდ **ბიუროკრატების დაპატიმრება** უნდოდა. მუშათა დეპუტატების საბჭომ გადასწყვიტა, ხალხს ორისამ ოწოდებით მიჰმართოს და ურჩიოს, ბრძოლით მოიპოვოს საყოველთაო საარჩევნო უფლება და მოიწვიოს დამფუძნებელი კრება. საბჭომ გადასწყვიტა, 9 იანვრამდის საერთო გაფიცვა არ მოახდინოს.

კორესპონდენცია

ქ. გორი. 16—30 ნოემბრამდე. 16 ნოემბერს დაიწყო გაფიცვა მთლად რუსეთის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეებისა და, რასაკვირველია, აქაური საფოსტო კანტორის მოხელეებიც არ ჩამორჩნენ სხვებს და ამათაც შესწყვიტეს მუშაობა. ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეებს აქ თან მიჰყვნენ სასამართლოსა, ხაზინისა, სამხედრო საბჭოსი და სამოქალაქოს სამმართველოების მოხელეებიც, რომლებმაც დილის ათს საათზედვე შესწყვიტეს მუშაობა.

20 ნოემბერს დანიშნული იყო მიტინგი ქალაქ გარედ. აქ შეიარა თავი მთლად გორის ხალხმა. მტკვრის ხიდს უკან, იმათ შემოუერთდა ხიდისთავი, ატენი ტინისხიდი და მეჯვრისხევის საზოგადოების რამდენიმე სოფელი. ყველა სოფელი თავისის წითელის დროშით მოდიოდა. სულ 10,000 კაცამდე იქნებოდა. სხვათა შორის, აქ იყო რამდენიმე კაზაკი. ერთმა იმათგანმა სიტყვაც სთქვა: ჩვენ აქამდის გონება დახშული ხალხი ვიყავით; არ ვიცოდით, ვინ იყო ჩვენი მოყვარე და ვინ მტერი. ჩვენ გვეუბნებოდნენ, რომ თქვენ ჩვენი ამოხოცვა გინდოდათ; ახლა კი გავიგეთ, რომ თქვენც ჩვენი ძმები ყოფილხართო. ვჩქარობ და ამიტომ მოკლედ ვწყვეტ სიტყვასა, რისთვისაც ბოდიშს ვიხდით. ხალხი აღტაცებით მიეგება კაზაკ-ორატორს. მაგრამ, როგორც სჩანს, ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანს. დანარჩენი კაზაკები იმ ღამესვე მოვიდნენ გორს და რამდენიმე ადგილის სახლების გაძარცვა მოინდომეს, თუმცა საწადელი ვერ აისრულეს.

23 ნოემბერს ტფილისიდან სომეხ თათართა ხოცვის შემაძრწუნებელი ამბები ამოვიდა, რამაც ძალიან დააფიქრა და დიდ საგონებელში ჩააგდო მთლად გორელები. 25 ნოემბერს დანიშნეს მიტინგი, სადაც გადასწყვიტეს: გაგზავნონ დეპუტაცია მაზრის უფროსთან და მოსთხოვონ იარაღი თავის დასაცავად. მაზრის უფროსმა უპასუხა, რომ მე აქ თოფები არა მაქვს და არც ნება მაქვს უგუბერნატოროდ რამე მოვიქმედო, საჭიროა იმას შევეკითხოვო. ამის გამო მეორე დღეს, 26 ნოემბერს, მიტინგზე ამოარჩიეს დეპუტაცია ტფილისში ნამესტნიკთან გასაგზავნად და ამავე მოთხოვნილების წარსადგენად. დეპუტატებად ამოირჩიეს 5 კაცი: გ. ლოლაძე, გ. გვრდოიანცი, ნ. დონდაროვი (აზიანი), ა. დავიდოვი და პეტრე კარეტნიკი.

27 ნოემბერს კრება იყო აქაურ მოქალაქეებისა, სადაც გადასწყვიტეს, შეაგროვონ ფული იარაღის საყიდლად და მილიციონერების დასაქირავებლად. როგორც ამბობენ, სულ სამი ათას თუმნამდე გროვდება.

28 ნოემბერს საქალაქო საკრებულოს დარბაზში დანიშნული იყო კრება ერობის შესახებ. კრებას დაესწრნენ მხოლოდ მომრიგებელი მოსამართლენი და 7 წარმომადგენელი მსხვილ მემამულეებისა. გლეხობიდგან არც ერთი წარმომადგენელი არ მოსულა, რის გამოც იძულებულნი იყვნენ კრება 12 დეკემბრისთვის გადედოთ.

21 ნოემბერს მიტინგი ჰქონდათ აქაურ სასწავლებლების მოსწავლეებს და სწავლის შეწყვეტა გადასწყვიტეს. ამის გამო სასულიერო სემინარია დაიხურა 22 ნოემბერსვე და მოსწავლეები თავიანთ სახლებში წავიდ-წამოვიდნენ. ქალთა გიმნაზიის პედაგოგიურმა საბჭომ 27 ნოემბერს დაიბარა მოწაფეთა მშობლები საკითხად, სურთ თუ არა განაგრძონ სწავლა მათმა შვილებმა. კრებაზე მოწაფეებმა წარადგინეს თავიანთი მოთხოვნილებანი. რამდენიმე მუხლის დაკმაყოფილების შემდეგ, მშობლებმა გადასწყვიტეს, სწავლა განაგრძოთ, მაგრამ, მოწაფეებმა მაინც 30 ნოემბერს სრულებით შესწყვიტეს სასწავლებელში სიარული, რის გამოც იგიც დაიხურა. საქალაქო სასწავლებელში კი სწავლა, დიდი ხანია, შეწყვეტილია.

გ. ნამორაძე.

წერილი რედაქციის მიმართ

გაზ. „ივერიის" № 220-ში მოთავსებულია კორესპონდენცია შუა ქართლიდან ბ-ნ ქარ-ცეცხლისა, სადაც მე [illegible] უსაბუთოდ დასახელებული ვარ ჯაშუშად. კორესპონდენტი სწერს: „ს. შინდისში მოჰკლეს მამასახლისი ვანო საბანაძე. ამან ეგზეკუციის დროს მოჰკრიბა (კაზაკების დახმარებით) ას ოცი თუმანი მამასახლის-მწერლის სასარგებლოდ. აქ გაითქვა უფრო შესამჩნევად თავი მეორე ჯაშუშმა—იასონ ბერძნიშვილმა, რომელიც აქედან ტფილისისკენ გაიპარა". მართალია, მე შინდისის საზოგადოების მწერლად გახლდით, მაგრამ ჯაშუშობა საზოგადოებისთვის არასოდეს გამიწევია და ეს საშინელი ცილის-წამებაა. როცა ხალხში მოძრაობა დაიწყო, ხალხისთვის მე არავითარი წინააღმდეგობა არ გამიწევია,—პირიქით, თანაგრძნობაც გამოვუცხადე. ყველა აზნაურებმა ს. შინდისში გლეხების წარმოდგენილ პირობებზე ხელი მოაწერეს და მათ რიცხვში მეც. მკათათვის პირველ რიცხვებში ტფილისისკენ გავემგზავრე სამსახურის საშოვნელად, სადაც დღევანდლამდე ვიმყოფები. ენკენისთვეში ს. შინდისში ეგზეკუცია ჩაუყენებიათ და მამასახლისს, ჩემდა დაუკითხავად, ჩემი ჯამაგირიც მოუკრეფებია, რაზედაც გაგებისთანავე მე პროტესტი განვაცხადე ჯამაგირის მიღებაზე და ჯამაგირის აღებაზე უარი ვსთქვი. არა მგონია, ს. შინდისში ვინმემ ჯაშუშობის ბრალი დამდოს. ვთხოვ ბ-ნ კორესპონდენტს, ჯაშუშობა საბუთებით დამიმტკიცოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ შეცდომით მოუვიდა, თვითონვე განმათავისუფლოს ამ თავზარდამცემ ბრალდებისაგან და სიკვდილის დასადები ზნეობრივი სატანჯველი ამაცილოს.

იასონ ბერძნიშვილი.

დროებითი რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი
გამომცემელი თ. პავლე ი. თუმანიშვილი.

გამოსადეგი ცნობები

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა
15 ოქტომბრიდან.
(ადგილობრივ საათით).

ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. და 58 წ.; 2) სამგზავრო № 6 დილის 8 ს. და 46 წ.; 3) საქონ.-სამგზავრო № 18 დილის 11 ს. და 38 წ.; 4) სწრაფი № 20 მოსკოვამდის (მარტო [illegible]) საღამოს 6 ს. და 33 წ.;

ბათუმს: 1) სამგზავრო № 7 საღამოს 10 ს. და 54 წ.; 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 12 ს. 53 წ.; 3) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. და 5 წ.;

ერივანს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 12 ს. და 10 წ.; 2) საქონ. სამგზავრო № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. და 11 წ..

ტფილისში ჩამოდის:

ბათუმიდან: 1) სამგზავრო № 8 ნაშუადღევის 1 ს. 29 წ.; 2) საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. და 9 წ.; 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. და 42 წ.;

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 მოსკოვიდან (მხოლოდ პარასკევობით) ნაშუადღევის 2 ს. და 28 წ.; 2) საფოსტო № 3 შუადღ. 12 ს. და 8 წ.; 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. და 29 წ.; 4) საქონ. სამგზავრო № 17 ღამის 10 ს. და 28 წ.;

ბათუმიდან გამოდის: 1) სამგზავრო № 8 ღამის 12 ს. და 30 წ.; 2) საფოსტო № 4 დილის 6 ს. და 13 წ.; 3) სამგზავრო № 6 საღამოს 6 ს. და 22 წ.;

ქობულეთისაკენ: დილის 10 ს. 28 წ.

ნატანებისაკენ: ნაშუადღევის 2 ს. და 58 წ.

ბათუმში ჩადის:

ტფილის-ბაქოდან: 1) სამგზავრო № 7 დილის 11 და 31 წ.; 2) საფოსტო № 3 ღამის 1 ს. და 12 წ.; 3) სამგზავრო № 5 საღამოს 8 ს. და 5 წ.

ბაქოდან გამოდის:

ტფილის ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 მოსკოვიდან (მარტო ხუთშაბათობით) ღამის 1 ს. და 18 წ.; 2) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. და 51 წ.; 3) სამგზავრო № 5 შუადღის 12 ს. და 1 წ.; 4) საქონ.-სამგზ. დილის [illegible] ს. და 1 წ.

ბაქოში ჩადის:

ტფილის-ბათუმიდან: 1) საფოსტო № 6 ნაშუადღევის 2 ს. და 18 წ.; 2) სამგზავრო № 6 ღამის 1 ს. და 40 წ.; 3) საქონ.-სამგზ. (ტფილისიდან) № 18 ნაშუადღევის 4 ს. და 53 წ.

მიხაილოვიდან გადის:

ბორჯომისაკენ: სამგზავრო. 1) დილის 4 ს. და 3 წ.; 2) დილის 11 ს. და 28 წ.; 3) საღამოს 5 ს. და 23 წ.

სურამისაკენ: საქონ.-სამგზ. 1) ღამის 3 ს. და 8 წ.; 2) დილის 4 ს. და 8. წ.; 3) დილის 9 ს. და 43 წ., 4) დილის 11 ს. და 33 წ.; 5) ნაშუადღევის 3 ს. 38 წ.; 6) საღამოს 5 ს. და 28 წ.

ბორჯომიდან გამოდის.

მიხაილოვისაკენ: სამგზავრო: 1) ღამის 11 და 42 წ. 2) დილის 8 ს. 12 წ.; 3) ნაშუადღევის 2 ს. და 3 წ.

ბაკურიანისაკენ—(ბორჯომის ბაღიდან): სამგზავრო დილის 10 ს. 20 წ.

ბაკურიანიდან გამოდის.

ბორჯომისაკენ: სამგზავრო ნაშუადღევის 4 ს. და 18 წ.

სურამიდან გამოდის.

მიხაილოვისაკენ: საქონ.-სამგზავრო: 1) ღამის 2 ს. და 31 წ.; 2) ღამის 3 ს. და 28 წ.; 3) დილის 9 ს. და 1 წ.; 4) დილის 10 ს. და 41 წ.; 5) ნაშუადღევის 2 ს. და 51 წ.; 6) ნაშუადღევის 4 ს. და 36 წ.

რიონიდან გადის:

ქუთაისისაკენ: სამგზავრო: 1) დილის 5 ს. და 13 წ. 2) დილის 7 ს. 18 წ.; 3) დილის 11 ს. 03.; 4) ნაშუადღევის 3 ს. 38 წ.; 5) საღამოს 9 ს. 48 წ.; 6) [illegible] 13 წ.

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მ. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხნოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა—კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი იგიტიანცი.

კუკიისა. ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა ექიმი კ. გძელიშვილი.

ხარფუხისა—ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი თათევოსიანცი.

დიდუბის განყოფილება. ექ. შჩერბინა

თვალის სამკურნალო—კრილოვის ქუჩა, ველიკოკნიაჟესკის ქუჩის კუთხე. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი ელიამანცისა.
2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

საყმაწვილო ჟურნალი
ნაკადული
სურათებით

წელიწადი მეორე. წელიწადი ითვლება ნოემბრიდან ნოემბრამდე.

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში, წ.-კ. გ. საზოგადოების კანცელარიაში და მარიამ დემურიას ბინაზე—ალექსანდრეს ქუჩა, № 5.

რედაქცია იმყოფება გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილის სახლში, № 8.

დასაბეჭდად გამოგზავნილი წერილები სუფთად და გარკვევით უნდა იყოს დაწერილი.

ჟურნალის ფასი: ერთად ორივე გამოცემა 5 მან. ცალ-ცალკე—სამ-სამი მანეთი. ნახევარის წლით: ერთად—3 მან 50 კაპ., ცალ-ცალკე 1 მან. 50 კაპ. თვეში 50 კ. ცალ-ცალკე ნომერი მცირე წლოვანთათვის—15 კაპ. მოზრდილთათვის 25. წლიურ ხელის მომწერთ შეუძლიათ თვეში თითო მანათი შემოიტანონ.

შარშანდელი მთელი წლის ნომრები იყიდება სამ თად.

პირობებზე მოსალაპარაკებლად რედაქცია ღიაა დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція журнала „НАКАДУЛИ".

რედაქტორი მარიამ ივანეს ასული დემურიასი.
გამომცემელი თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.

ელექტრომბეჭდავი „ცისკარი", ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 5